წელიწადი მესამე
ფასი 10 კაპ.
ოთხშაბათი, 1917 წ. თიბათვის 21 (3)

# საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდილი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მიასკოვის ქუჩაზე, № 4.
ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ро акц. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 133 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 133

ახალი კლუბი
ოთხშაბათს, თიბათვის 21, ქართულ კლუბის დარბაზსა და ბაღში
ქართველ ქალთა ჯგუფი
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა თფილისის ორგანიზაციის სასარგებლოთ
ბალმონტისა და ქართველ პოეტების
მონაწილეობით ჰმართავს
დიდ საღამო-სეირნობას
იქნება:
კაბარე,
კონცერტი,
ბუფეტი,
ყვავილები,
„პტი შვო“,
ლოტო ფასიანი ნივთებით,
სხვა მრავალი გასართობი.
სალიტერატურო განყოფილებაში მონაწ. მიიღებენ: ბალმონტი, გრიშაშვილი, აბაშისპირელი, ფაშალიშვილი, ჭუმბაძე. კონცერტში მომღერალნი: ან. ბღლაძე და ვ. ლორთქიფანიძე. აგრეთვე თავისუფალი თეატრის მსახიობები და გამოჩენილი პიანისტი ირ. კადი პოკრასი.
სეირნობა დაიწყება 8 საათ., კონცერტი 9 ს.
ბილეთები იყიდება ახალი კლუბის კასაში.
ბაღში შესვლის ფასი ჩვეულებრივია, არა წევრთათვის უფასოა.
(2—738—2)

მიიღება ხელის-მოწერა
ქართულ სასწავლო ჟურნალ
„შინა-გიმნაზია უნივერსიტეტ“-ზე
ჟურნალის დანიშნულება—ხელი შეუწყოს ქართველი ხალხის სწავლა-განათლებას შინ სწავლითა!
ვინც უნდა იყოთ თქვენ—ბინოვანი, მუშა თუ მოსამსახურე, იცხოვრეთ და იმუშავეთ სადაც ხელს გაძლევსთ, მაგრამ იმავე დროს ერთი წამითაც არ დაივიწყოთ ჩვენი ბრძნული ანდაზა—„სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო“—და თითო საათი მაინც ისწავლეთ საშინაო წიგნზედ ჩვენი ჟურნალით. იცოდეთ, რომ ასეთი თვით სწავლით უფრო ადვილად შეხვალთ მეცნიერებათა სამეფოში, ვიდრე სხვა ათასი წიგნებითა და სკოლებითა.
არც შიშის რასმე ვთხოულობთ ამისათვის: საჭიროა მხოლოდ იცოდეთ ქართული წერა-კითხვა და ათასამდის ანგარიში, და თუ არც ეს იცით, მაინც ნუ შეგეშინდებათ—ისწავლეთ ესენი ვინმე მადლიანის დახმარებით და დანარჩენს თითონაც კარგად შეისწავლით ჩვენი ჟურნალით.
ჟურნალი „შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტი“ გამოვა ჯერ-ჯერობით თვეში ერთხელ, არა ნაკლებ 32 გვერდისა თვითეული ნომერი. ფასი ამ წლის დასრულებამდე გაგზავნით ღირს ხუთი მანეთი. პირველი ნომერი გამოვა 15-ს მკათათვეს. ფული გთხოვთ ყველამ (თბილისელებმაც) ფოსტით გამოგზავნოთ ამ მისამართით: въ Тифлисъ, Тумановскій пер, № 24, Ивану Павловичу Ростомашвили.
რედაქტორი ივ. როსტომაშვილი.
1—683—1
გამომცემლობა „შინა-სწავლა“.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთზე
1917 წლ. ჩვენი ქვეყანა 1917 წლ.
გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.
რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.
რედაქტორი დ. კვირკელია.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფებს ღებულობს საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
მ. ი. მარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მელიქოვის ქ. № 4. (ი.—302—)

ექიმი
მ. გ. ვეშაპიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიენის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. დ. ნინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალისა
ე. ივ. გაბარაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი კბილისა
მოსკ. ასისტენტი მ.
კალანდარიშვილი
ეკატერინეს ქუჩა, კადეტთა კორპუსის.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს ბავშვთა და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროვსკის ქუჩა № 7

ექიმი
მ. მ. მუხაძე
იღებს ხალხისთვის ავადმყოფებს
საღამოს 5-6 ს. -მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

წყლის საქმე
თბილისის ქალაქის გამგეობამ
ამ რამდენიმე კვირის წინად საბჭოს დადგენილების თანახმად ქალაქის მცხოვრებთ მოწოდებით მიჰმართა და სთხოვა, წყლის ხმარება შეამცირეთ, რადგან წყალი ცოტაა და ქალაქის ყველა ნაწილს ერთნაირად არ ჰყოფნის ხოლმე. ამ მოწოდებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ამიტომ გამგეობა იძულებულია ქალაქში წყლის ხმარება რაიონობით შემოიღოს, ასე:
დილით 4—9 საათამდის და ნაშუადღევის 2 დან საღამოს 6 საათამდის წყალი იდენს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რიყის გარდა, ხოლო დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 6 საათიდან ღამის 11 საათამდის წყალი იდენს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და რიყეზე.
რომ ეს ახალი წესი არ დაირღვეს ქალაქის გამგეობა მცხოვრებთ სთხოვს წყალი ყაირათით დახარჯოს. 1—739—1

III წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.
სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ
„თავისუფლება“-ზე
რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის სამეურნეო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ. შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:
Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

## თბილისი, თიბათვის 21.

## ამიერ კავკასიის გადამიჯვნის გამო

ამ დღეებში გაზეთებში დაიბეჭდა ორი ცნობა, ერთი შესახებ ბ-ნის ჯამალიანცის წინადადებისა კავკასიის ადმინისტრატიულ ერთეულებათ ახალ დაყოფვისათვის, და მეორე კი—გრ. რცხილაძის წინადადებისამებრ მხოლოთ ზოგიერთი საზღვრების შესწორებისა ამიერ კავკასიის აღმოსავლეთს ნაწილში. ორთავეს წინადადება გამოწვეულია ერობის შემოღების პროექტით.

მეორე წინადადების გამო გაზეთები გვაუწყებდენ, რომ დაარსეს კომისია, რომელშიაც დანიშნეს მაჰმადიანთა მხრივ სულთანოვი და ვექილოვი, ხოლო სომხების მხრივ კი კომისიისათვის ორ წევრს აირჩევს სომეხთა „საერთაშორისო პარტია“.

ჩვენზე, ქართველებზე კი, კრინტიც არ არის დაძრული, თითქოს მთვარეზე ვცხოვრობდეთ და არა დედამიწაზე და ისიც ბედუკუღმართს საქართველოში, რომლის ფარგლებში შედის ნაწილი აღმოსავლეთ ამიერ კავკასიისა.

ამიტომაც ყველაფერი, რაც ეხება ამ უკანასკნელს ეხება ქართველებსდა საქართველოსაც. ეს კარგათ უნდა იცოდეს კავკასიის ყველა ერებმა, ამ ერის მესვეურებმა და იმათ, ვისთვისაც დროთა გარემოებას მიუნდვია კავკასიის უმაღლეს გამგეობის სათავესთან დგომა.

გუბერნიების გადამიჯვნა, ან საზღვრების შესწორება არ არის შინაური საქმე რომელიმე ერთი ერისა, ის არსებითათ ეხება ყველა იმ ერებს, რომელთა შორის უნდა გავლებულ იქმნას ახალი საზღვრები და რომელთაც უნდა ჩამოეჭრას ან მიეზომოს რომელიმე ნაჭერი ამა თუ იმ ტერიტორიისა.

გაკვირვებულნი ვართ ამიერ კავკასიის დრ. კომიტეტით ასეთს დიდს პრინციპიალურს საკითხში, როგორიც არის გუბერნიების გადამიჯვნა, რატომ მოქმედებს ასე შინაურულათ, დაინტერესებულ ერთაგან არ ჩეულ წარმომადგენლების მიერ საქმის წინასწარ განუხილველათ.

მით უფრო გასაკვირველია ეს მისი მოქმედება, რომ გუბერნიების გადამიჯვნა ამიერ-კავკასიაში არ არის დღეს აღძრული საკითხი. იგი აღძრეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ერის წარმომადგენლებმა შარშან, ძველი რეჟიმის დროს, როცა იხილავდენ ჩვენში ერობის შემოღების საქმეს, მაგრამ უარყოფილ იქმნა დიდი უმრავლესობისაგან (89 წინააღმდეგ 21-სა).

ეხლაც უარყოფილ იქმნება ეს ამიერ-კავკასიის ერთა შორისი საკითხი, თუ მისს გადაწყვეტის დროს დაეკითხებიან დაინტერესებულ ერთაგან ამორჩეულ კაცებს, და არა ამიერ-კავკასიის დროებითი კომიტეტის წევრთა პირადი შეხედულებით მოწვეულ ადამიანებს.

ერის საქმე რომ ერს არ ეკითხებოდეს და ისიც რევოლუციის დროს, ეს მარტო ჩვენში ყოფილა შესაძლებელი...

ჩვენ გვჯერა, რომ ამიერ-კავკასიის დროებითი კომიტეტის წევრებს სურთ მიუდგომლად გადასწყვიტონ ყველა აქაური ერთაშორისი საქმეები. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენი განცხრელნი მეზობლები სომხები და მუსულმანებიც მოწადინებულნი არიან, რომ ყოველი საერთო ჩვენი საქმეები გადასწყდეს ჩვენს შორის სამართლიანად, ერთმანეთის ეროვნულ ინტერესებისადმი პატივისცემის ნიადაგზე.

ამიტომაც მოვითხოვთ ამიერ კავკასიის დრ. კომიტეტისაგან, თუ გუბერნიების გადამიჯვნა აუცილებლად საჭიროა დღესვე, და არ შეიძლება გადაიდვას იმ დრომდე, სანამ თვით აქაური ერნი შეთანხმდებოდნენ საავტონომიო საზღვრებზე, იმ შემთხვევაში საკითხის გადასაჭრელად დაუყოვნებლივ მოიწვიოს ქართველი ერის წარმომადგენლებიც, რომელთაც აირჩევს საგუბერნიო კომისარიატების წინა ადგილობრივი სათანადო დაწესებულებები.

## სათათბიროს გაუქმება

რუსეთის სოციალისტურმა დემოკრატიამ მორიგ საკითხად სახელმწიფო სათათბიროს დაშლა აღიარა.

სახელმწიფო სათათბიროს როლი ამ რევოლიუციაში ჯეროვანად დაფასებულია და გამორკვეული.

იგი მედგარია იმ დროს, როდესაც რუსეთი ძველი რეჟიმის რკალში იყო ჩასმული და ერთად ერთი ხმა, საიდანაც მისი დატანჯული ხალხის ძახილი ისმოდა თავრიდის სასახლის ტრიბუნა იყო, რომელზედაც ადიოდენ თუმცა სამი ივნისის შეზღუდულ წესით არჩეული, მაგრამ მაინც სახალხო წარმომადგენლები.

ამ სათათბირომ თავისი ოპოზიციით რუსეთი რევოლიუციის ნაპირას მიიყვანა და ამ ოპოზიციისავე მეთაურთ ჩხეიძესა და კერენსკის გადასცა საშემდეგო საზრუნავად.

სათათბირო მარტო არ ყოფილა რევოლუციის შემქმნელი, მაგრამ, როგორც გამომხატველი პროგრესიულ ბურჟუაზიისა, ერთ-ერთ მის მამოძრავებელ ძალად სოციალისტებიო მიერაც აშკარად იყო აღიარებული.

სათათბირომ რევოლუციას პირველი მთავრობა მისცა და ეხლაც ამ მთავრობის უმეტესობას მისი წევრნი წარმოადგენენ.

ამით მან ბეჭედი დაასვა რუსეთის რევოლუციას და მის პირველ ხანობის კეთილ მსვლელობას თვალსაჩინო სამსახური გაუწია.

ჯარი, დემოკრატია და პროგრესიული ბურჟუაზია რომ ერთსულოვნად გაერთიანდა პირველ ხანებში რევოლუციის გასამარჯვებლად და ახალ წყობილების განსამტკიცებლად შედეგი იყო პოლიტიკური მომენტის ღრმა შეგნებისა და დაფასებისა. 1905 წელში ბურჟუაზია მხოლოდ უკან მისდევდა დემოკრატიას და ისიც პირველ წინააღდეგობამდის, ხოლო ჯარი ორთავეს წინააღმდეგ იყო მომართული.

ეს დაყოფა იყო მიზეზი, რომ იმ დროინდელმა მოძრაობამ თავისი დასასრული ციმბირის საყინულეებში გადაასვენა.

გაერთიანების ლოზუნგი ყველა ჯგუფთა და პარტიათა მიერ იყო რუსეთში დასმული, რადგან თანამედროვე რევოლუცია ესმოდათ, როგორც რევოლუცია პოლიტიკური, თანაბრად მიმზიდველი ყოველ სოციალურ მიმდინარეობისათვის. საერთო კონცერტს მხოლოდ ბოლშევიკები არღვევდენ სოციალური რევოლუციის მოხდენის დაჟინებით და ბურჟუაზიისაგან საბოლოო გამიჯვნის მოთხოვნილებით.

სათათბიროს წინააღმდეგ ამხედრება შედეგია სწორედ ამ აგიტაციისა.

სათათბიროს უკვე გარკვეულად დაიჭირა ბურჟუაზიის პოზიცია და ამ ქამად მოწვეული დეპუტატთა თათბირი ერთგვარ ზედა პალატად დამყარდა, იმ დროს, როცა მუშათა საბჭოს ყრილობა ქვედა დემოკრატიულ პარლამენტის როლს ასრულებს.

ასეთ მდგომარეობაში დაშლა სათათბიროსი, რომელიც თავის უფლებას და მდგომარეობას ადვილად არ დასთმობს ფრიად სახიფათოა დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში. სათათბიროსთან კონფლიქტს რუსეთის ბურჟუაზია უთუოდ გამოწვევად მიიღებს, ხოლო მასთან ანგარიშის გასწორების დრო ჯერ მეტად ნაადრევია.

ბურჟუაზიის რევოლუციიდან გათიშვა იქნება მისი საწინააღმდეგოდ დარაზმვა და ნუ თუ რევოლუცია თავის ლოღიკურ დასკვნამდე უკვე მივიდა, რომ უმტკივნეულო იყოს ისეთი დიდი ძალის ჩამოჭრა და საწინააღმდეგოდ ამართვა? რამდენადაც მძაფრია იერიში ბურჟუაზიაზედ, იმდენად უფრო გარკვეულად აყალიბებს თავის მისწრაფებათ უკანასკნელი.

მაკლაკოვმა აკი განაცხადა სათათბიროს წევრთა ყრილობაზედ, რომ უნდა მოხდეს განწყობილების გადატეხა და „სარევოლუციო განწყობილება სახელმწიფოებრივით შეიცვალოსო“.

უკანასკნელი სიტყვა კი რუსეთის ბურჟუაზიისა და მის ორგანოს სათათბიროსი ხომ ყაზახთა ყრილობა იყო და ნათელია თუ როგორ ამაგრებს იგი თავის პოზიციებს მომავალ ბრძოლისათვის.

ბურჟუაზიის შეთანხმებული მსვლელობა დემოკრატიასთან და განსაკუთრებით პროლეტარიატთან, რასაკვირველია მუდმივი ვერ იქნება და რევოლუციაც გულისხმობს იმ დროს, როდესაც მათი ინტერესები ერთმანეთს უნდა წინააღდგნენ, რაიც უთუოდ ორთავეს გამიჯვნას გამოიწვევს, მაგრამ ეს მესამე ეტაპია რევოლუციისა, რომელიც ჯერ არ დამდგარა.

ამას ზოგიერთმა ზომიერ სოციალისტებმა ანგარიში საკმაოდ გაუწიეს და გასაგებია, როცა ისეთი ორგანო, როგორიც ესერების „Дѣло народа“ არის სათათბიროსთან ბრძოლას ნაადრევად და საშიშად სთვლის, და გაზეთი „День“-ი კი ამ საკითხის შესახებ რევოლუციის მიღებას პოლიტიკურ აპერაციას უწოდებს და ბოლშევიკებისათვის დათმობათ სთვლის.

რევოლუციას აქვს თავისი ლოღიკა და კანონები და ნაადრევად მოხდენა იმისა, რაც დროს არ მოუტანია დასწრება ამისა რევოლუციის ბუნებრივ მსვლელობისა და მის ძალთა საშიში დასუსტება.

ლ. ჯაფარიძე.

## საბერძნეთის აჩრდილი

გაუმაძღარმა ომის კერპმა ერთი მსხვერპლი კიდევ იპოვა. მან მრავალი სუსტი ერი გააბრიყვა, ჩაითრია და დაახრჩო სისხლის მორევში, მაგრამ მისი უძირო ჭურჭელი მაინც ვერ აივსო.

ჯერი საბერძნეთზე მიდგა.

ცოტა შორიდგან უნდა მოგახსენოთ.

მსოფლიო ომმა საბერძნეთს გაცხარებულ შინაურ მუშაობის დროს მოუსწრო. იგი ბალკანეთის ომის იარას იჩენდა. მისი, საერთაშორისო მდგომარეობა ორჭოფული გამოდგა. იგი მოკავშირე იყო სერბეთისა. იმ თავითვე ინგლის-საფრანგეთი ამ გარემოებას დააწვნენ და დაჟინებით თხოულობდნენ, რომ საბერძნეთი სერბეთს მიშველებოდა. ცხადი გაბრიყვება და უხეში ძალადობა იყო. თორმეტმა დიდმა და მცირე სახელმწიფომ—თითქმის მთელმა ქვეყანამ დღემდის რომ ვერ უშველა პატარა სერბეთს, ბუზ საბერძნეთს ჩასციებიან: უბინე გერმანეთის ლომს, იქნება მაშინ მოკვდესო.

საბერძნეთი არ გაბრიყვდა, რადგან მას არ სურდა ერთი კაცის გულისთვის ბელგია-სერბეთ-რუმინეთსავით დედამიწის ზურგიდან აღგვილიყო. სიმართლე უნდა ვთქვათ: დღევანდელამდე საბერძნეთს სათავეში ედგა სახელ-განთქმული სარდალი მეფე კონსტანტინე-კაცი ფრთხილი, ჭკვიანი, დინჯი და ერთგული ფიცისა და ხალხისა.*)

თვისი ჭკვიანობა და სიფრთხილე მან იმით მაინც დაამტკიცა, რომ სამი წლის განმავლობაში მას მაგრად ეჭირა აღვირი ერის ბედისა და ვიგინდარა ავანტიურისტებს ნებას არ აძლევდა, რომ მთელი ერი უფსკრულში გადაეგდოთ.

კონსტანტინე და მისი მთავრობა ასეთ შინაურ და გარეშე მტრებს ყოველთვის სამართლიან პასუხს აძლევდნენ: საბერძნეთ-სერბეთის კავშირი დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგ არ იყო მიმართული, ამიტომ საბერძნეთი მოვალე არ არის ავსტრია-გერმანეთს შეაკლას თავიო.

მაგრამ სამართალს ვინ დაგიდევს ჩვენს დროში! კავშირისთვის საჭირო იყო მთელი საბერძნეთი—მისი ჯარი, გზები, ქალაქები, პორტები, ფლოტი,—საჭირო იყო კიდევ ერთი მსხვერპლი და მის გასაბრიყვებლად ყველაფერი სამართლიანი იყო: ძალაც, ტყუილიც, ღალატიც და ერთი მუჭა ხალხის ბედიც. მოკავშირეთა დიპლომატიურ არსენალში არც ერთი იარაღი არ დარჩა, რომ ბერძენთა გასაბრიყვებლად არ ეხმარათ.

ეს უმაგალითო თაღლითობა იმით დაიწყო, რომ კავშირმა უზენაესი უფლება დაარღვია საბერძნეთისა და მის ტერიტორიაზე—სალონიკის რაიონში ჯარი გადასხა. როგორც ყველგან, საბერძნეთშიაც გაჩნდა ერთი ნაწილი პოლიტიკურ ავანტიურისტთა რომელსაც სათავეში ჩაუდგა თანამედროვე ალკივიადი—კრიტელი ვენიზელოსი. მის გარშემო თავმოყრილი ჯგუფი მოკავშირეებმა საბერძნეთის მთავრობად აღიარეს და თავის ჯარებით, ფლოტით და მილიონებით მას მხარი დაუჭირეს. იმ დროიდან საბერძნეთი ორ ბანაკად გაიყო და დაიწყო შინაური ომი. ერთ მხარეზე იდგა ხალხის დიდი უმრავლესობა მეფე კონსტანტინეს მეთაურობით, მეორეზე—ვენიზელოსი ერთი მუჭა ბერძნებითა და გა-

---

*) ზოგი ბრძენი პოლიტიკოსი ასე ორჭოფულად მსჯელობს: რადგან მეფე კონსტანტინეს ნამეფარი ნიკოლოზი მხარს უჭერდაო, ამიტომ ისიც ტირანი იყო და ახია მისი ტახტიდან ჩამოგდება და განდევნაო. ასე დემაგოგიურად რომ ვიმსჯელოთ, უნდა ისიც ვთქვათ, რომ კონსტანტინეზე უფრო ადრე ნიკოლოზს მისი ბიძაშვილი, ინგლისის მეფე გიორგი უნდა გაჰყოლოდა. მაგრამ მასზე ხმას არავინ იღებს, ვინაიდგან მეფეები ყველგან და ყოველთვის ერთნაირები არ ყოფილან და არც ეხლა არიან.

ეროვნული

რეზე ძალით. უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, რამდენიმე უდიდესი სახელმწიფო მიესია პატარა საბერძნეთს, ბოლო ვენიზელოსი და მისი ჯგუფი მათი შირმა და საფარი იყო.

მოკლედ გავიხსენოთ ისტორია ამ უმაგალითო ძალადობისა და სუსტი სახელმწიფოს გასრესისა.

მოკავშირეებმა დააპატიმრეს საბერძნეთის ფლოტი. ძალითა და მუქარით თესალიიდან ჯარი გააყვანინეს. მერე რეკვიზიციას მიჰყვეს ხელი. მოითხოვეს ავსტრო-გერმანელთა ელჩებისა და მათი „აგენტების" გაძევება. მრავალი დააპატიმრეს, ჩხრეკა-ძიება გააჩაღეს, შამ და უწუმ მთავრობას სცვლიდნენ. ბოლოს საბერძნეთის ჯარი პელოპონესის ნახევარკუნძულზე გადაიყვანეს და იქ დააპატიმრეს. ესეც არ იკმარეს და სახელმწიფოს ალყა შემოარტყეს. განგებ ერთი ტომარა ხორბალი აღარ შეუშვეს. საბერძნეთი ყველაფერს ითმენდა. სამი წლის განმავლობაში მოკავშირენი ფეხით სთელავდნენ მის უფლებას და საქვეყნოდ ნამუსსა ჰხდიდნენ, მაგრამ იგი მაინც არ ნებდებოდა. უკანასკნელი ზომა—ხალხის დამშევა—უკანასკნელი და უსაზიზღრესი იარაღი იყო აღვირახსნილ ძალადობისა.

დამშეულმა ხალხმა ღელვა დაიწყო. მეფემ აქაც ჭკუა გამოიჩინა და ტახტიდან გადადგა. მაგრამ საქმე არც მეფეშია და არც მის ტახტში. საქმე იმაშია, რომ ინგლის-საფრანგეთმა გაიმარჯვეს და საბერძნეთი დაიმორჩილეს. ურცხვად აუწყეს ქვეყანას: საბერძნეთში ორი გემი ხორბალი შევუშვითო, ესე იგი: ჩვენ პური მივეცით ბერძნებს, ხოლო ბერძნებმა თავიანთი სისხლი უნდა მოგვცენო.

მეფე რომ წავიდა, მოკავშირენი დამშეულ მგლებივით ეცნენ საბერძნეთს. ათასი დააპატიმრეს, სისხლიც დაღვარეს, ციხე-სიმაგრენი ჩაიგდეს და თვით ბატონობა დაამყარეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ათინაში დაბრუნდა მოკავშირეთა ხიშტებზე დამჯდარი ალკივიადი—ვენიზელოსი.

ასე ბრუნდებოდა საქართველოში გიორგი სააკაძე, რომელსაც უკან მოსდევდა სპარსეთის ცეცხლი და მახვილი.

აი მოკლე ისტორია აღმაშფოთებელ ძალადობისა, უბედურ ხალხის გაბრიყვებისა და მისი სისხლის მორევში ჩათრევისა.

მეფე კონსტანტინე იმეორებდა ხოლმე:

— მუდმივ თვალწინ მიდგა ჩრდილები გაოხრებულ და ჯვარცმულ სომხეთისა, სერბეთისა, ბელგეთისა და რუმინეთისა.

დღეს თუ ხვალ მათ გვერდში აეტუზება აჩრდილი საბერძნეთისა.

ბევრს გაუხარდა დანახვა ამ აჩრდილისა.

ეს მათი „ანგარიშის" სიხარულია.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ ამ აჩრდილმა გაახარა ზოგი სოციალისტი და რევოლუციონერი?

ეს მათი პოლიტიკურ ორგულობის საქმეა.

ვისაც სისხლის „ანგარიში" შეუძლიან და პოლიტიკური სინიდისი შესწევს—გაიხაროს.

ახალს, თავისუფალ რუსეთს ახალი აჩრდილის გამოჩენის გამო სასიხარულო არაფერი აქვს.

**მ. ადამაშვილი**

## ქართული პრესა

**„ჩვენი ქვეყანა" დამფუძნებელ კრების თაობაზე**

„ჩვენი ქვეყნა"-ს მე-57 №-ში შინაარსიანი წერილია მომავალ დამფუძნებელ კრების თაობაზე. გაზეთი სხვათა შორის ამბობს:

ყველაზე დიდი დაკვირვება ქართველებს გვეჭირვა.

ამდენ ხანს არაფერს ვაკეთებდით, ვიძახოდით, დამფუძნებელ კრებას დაუცადოთო.

აი ეს კრებაც კარს მოგვადგა.

რა გვეშველება?

შეერთებული მოქმედება, საქართველოს კითხვის ყოველ მხრივ გაშუქება, ხალხის მომზადება, შეთანხმებული მოთხოვნილების შემუშავება.

ქართველო ხალხო!

30 ენკენისთვე უკანასკნელი იმედია რევოლუციისაგან სარგებლობისა და შენი მომავლის გამოჭედისა.

ქართველურ გულცივობას და დროს შეუფერებას თავი დავანებოთ, რეალ პირობებს ანგარიში გაუწიოთ.

თუ ამ რევოლუციით გვინდა საქართველოს მომავლის გამოჭედვა, საქმეს მივმართოთ.

**სასწრაფოდ დავიწყოთ** საღი და ეროვნულ ტკივილებთან შესკვნილი მოქმედება.

დაყოვნება დამღუპველია.

⁂

**გლეხთა ყრილობა და საქართველო**

„სახალხო ფურცელი" გლეხთა ყრილობის შესახებ ამბობს:

⁂

ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნდა, რომ საქართველოს გლეხთა ყრილობა ცალკე მომხდარიყო. სხვა არა იყოს რა, ერევან-ყარსის და ქართლ-იმერეთის გლეხებს სხვა და სხვა ენა აქვთ, თავისუფლად ვერ გამოესაუბრებიან ერთმანეთს, თავის გულისნადებს ვერ გადაუშლიან ერთი მეორეს. ასეა თუ ისე საქართველოს გლეხთა ყრილობა ჯერ ვერ გაიმართა და დღეს ერთად იკრიბებიან მთელი კავკასიის გლეხები; თუმცა დაუბრკოლებლად ვერა, მაგრამ მაინც იქონიებენ მსჯელობას ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ, გამოსთქვამენ თავის სურვილებს, თავის საჭიროებას, რას მოითხოვენ რევოლუციისაგან, და მათ ხმას ყველამ ყურადღება უნდა მიაქციოს, ანგარიში გაუწიოს.

ორი მთავარი საკითხია კავკასიის გლეხთა ყრილობის წინაშე: ერთია მიწის საკითხი, მეორე რუსეთის მომავალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყველა კუთხის და ყველა ერის თავისუფლება და თანასწორობა, მათი ძმური კავშირი.

თუ დღემდის ვერ მოხერხდა საქართველოს გლეხთა ყრილობის, როგორც ეროვნულ კრებულის მოწვევა, დღეიდან მაინც ვეცადოთ ყოველი ჩვენი საერთო ღონისძიებით, რომ ეს ყრილობა მოვიწვიოთ და ჩვენს მიწის მუშას ვათქმევინოთ მისი გულის ნადები, სიტყვა სწორი და მართალი.

ამისათვის კი საჭიროა საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიების შეთანხმება. თუ ჩვენ მართლა ერთგულნი ვართ საქართველოსი და გულწრფელათ, და არა პირადის თავმოყვარეობისათვის გვინდა მისი სამსახური, ნუღარ ვაყოვნებთ პარტიების შეთანხმებას, საერთო პლატფორმის გამოსაძებნელად და საერთო მტრებთან საერთო ღონისძიებით შებრძოლებას. დრო არ იცდის, მერმე გვიანღა იქნება.

**მიწის საკითხის გარშემო**

იმავ ყრილობის გამო ყოველ კვირეული ახალი გაზეთი „მიწა", რომელიც ითვლება გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის გამოცემათ, გლეხებს ურჩევს ...„გლეხთა საჭიროებისათვის ბრძოლაში დაეხმარენით ერთმანეთს **ეროვნების განურჩევლათ**, ვინაიდან მიწა და თავისუფლება ერთნაირათ ესაჭიროება ყველა გლეხკაცს."

სრული სიმართლეა, რომ მიწა და თავისუფლება ერთნაირათ ესაჭიროება გლეხკაცს და დავუმატებთ, ყველა მიწის მუშას, განურჩევლად წოდებისა, მაგრამ საქმე ისე უნდა მოეწყოს რომ სომხის მიწა თათარმა არ წაიღოს და თათრის კიდევ ქართველმა.

ამისათვის კი საჭიროა: ა) ყოველ ერის პოლიტიკურ პარტიების შეთანხმება და საერთო სამოქმედო პლატფორმის გამოძებნა, ბ) ყოველ ერისაგან საერო საბჭოს დაფუძნება, გ) ყველა მეზობელ ერთა საერო საბჭოების ერთმანეთთან შეთანხმება პოლიტიკურ ავტონომიების მისაღებათ, და 4) ავტონომიების მიღების შემდეგ ყოველივე ერი თავის საკუთარ ავტონომიის საზღვრებში თვითონ მოაწყობს მიწის საქმესაც ისე, როგორ ყოველივე სხვას

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 19. რუმინეთის ფრონტზე სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** ჩვენების შეტევის გამო, ოსმალებმა პენდჟვინისკენ დაიხია. ჩვენმა ცხენოსნებმა ტბა დერიბერის ჩრდილოეთით მდებარე სოფელი ინგიდჟე დაიჭირეს. ჩვენმა ჯარმა ტბა ზერიბერისა და სოფელ აბიხენ „იდერერეხუფს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სიმაგრე კალა დაიჭირა.

**მფრინავთა მოქმედება.** მფრინავ „ილია-მურომეც"-მა მტრის ზურგში 18 ფუთი ყუმბარა ჩაყარა. მფრინავს ჰაერში 5 ბრძოლა მოუხდა. მტრის 8 ფრინავთან ბრძოლის დროს დაიჭრა ჩვენი მფრინავის უფროსი პორუჩიკი შაროვი, კაპიტანი ბარბოვიჩი, პორუჩიკი ლეცი და ჯარის კაცი რედკო. მიუხედავად ჭრილობისა პორუჩიკ შაროვმა მფრინავი ჩვენს პოზიციამდის მოიყვანა და უვნებლად დაეშვა.

**ყაზახთა ჯარის წინამძღვართა არჩევნები.**

**ნოვოჩერკასკი.** თიბათვის 18. ყაზახთა ჯარის ატამანათ არჩეულ იქმნა გენერალი კალედინი, ლუცკის ფრონტის გარღვევის გმირი, მის თანაშემწედ კამენსკის გიმნაზიის დირექტორი ბოგაევსკი, ჯარის შტაბის გამგედ პოლკოვნიკი არაკანცევი, არტილერიის ხელმძღვანელად გენერალი სტახოვი.

## გაზეთებიდან.

**როგორ გამოიყენეს გერმანელებმა რუსეთის უმოქმედობა.**

„რუს. ინვ." მოჰყავს „დაძმობილებისა" და ჩვენ ჯარის უმოქმედობის შედეგები.

1) ფრანგთა და ინგლისელთა არასის, სუასონ-რეიმსის ფრონტებიდან რეინსკის პროვინციისკენ შეტევამ მიზანს ვერ მიაღწია. ჰინდენბურგმა ჩვენი უმოქმედობით ისარგებლა და ჩვენი ფრონტიდან გადაყვანილი 20 დივიზია ინგლისელების და ფრანგების წინააღმდეგ აამოქმედა.

2) მესოპოტამიაში ინგლისელთა და რუს ჯართა მოქმედება შეფერხდა, რადგან გერმანელებმა ოსმალთა ყველა დივიზიებთან ერთად თავიანთი ორი თუ სამი დივიზიაც კავკასიის და მესოპოტამიის ფრონტებზე გადმოიყვანეს.

3) იტალიელების შეტევას, როგორც ავსტრიელები, ისე გერმანელები მედგრად დახვდნენ, რადგან აქაც, ისარგებლეს რა ჩვენის უმოქმედობით ავსტრიელთა რამდენიმე დივიზია მიიშველიეს, რის გამოც გენერალ კადორნის შეტევამ მოსალოდნელი შედეგები ვერ მოიტანა.

4) ასევეა მაკედონიაშიც. გენერალ სარრაილმა მტრის მედგრად მოქმედების გამო შეტევას თავი დაანება.

## რუსის ჯარის შეტევა

**ცნობა ბანაკიდან**

**პეტროგრადი.** თიბათვის 19. **დასავლეთის ფრონტი.** კოველის მიმართულებით, როტკა სიტოვიჩესკის მიდამოში ჩვენმა მზვერავებმა ოთხი ოფიცრის ხელმძღვანელობით ნაღმებით მავთულის ღობეები დაანგრიეს, მტრის თხრილებში შეიჭრნენ, თხრილების მცველები დახოცეს და ტყვეები წამოიყვანეს. ტყვე ავსტრიელების სიტყვით, ავსტრიელებს ჩვენების თარეში გაქცეულთაგან შეუტყვიათ—უფროს უნტერ-ოფიცრის კირიჩკინის და ჯარის კაცის კოლ[illegible]კოვისაგან. ეხლა ძიებაა, თუ რ[illegible] გუბერნიისანი არიან ეს ჯარისკაცები. ზოლოჩევის მიმართულებით, ორი დღის საარტილერიო სამზადისის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა ავსტრო-გერმანელების პოზიციების წინააღმდეგ იერიში დაიწყო კონიუხი-ბიშკის ფრონტზე და ცხარე ბრძოლის შემდეგ სამი წყება თხრილები დაიჭირა და კონიუხის რუს მიაღწია, ამ სოფლის დასავლეთით. თიბათვის 18-ს ბრძოლის შედეგები ჯერ-ჯერობით ასეა გამორკვეული—ტყვეები: 164 ოფიცერი და 8300 სალდათი, გარდა ამისა 7 ზარბაზანი, 7 ტყვიისმფრქვეველი. ტყვეები თანდათან მოჰყავთ. ბრზეჟანის სამხრეთ-დასავლეთით, საარტილერიო სამზადისის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა მტრის ძლიერ სიმაგრეზე და ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს ეს პოზიციები. გერმანელები და ოსმალები კონტრ-იერიშებს აწარმოებდნენ. ზოგი ადგილები ხელიდან-ხელში გადადიოდა. თიბათვის 18-ს წამოვიყვანეთ ტყვე ოფიცრები 9 და 1.700 გერმანელი, ავსტრიელი და ოსმალო. ჩვენი ჯარის ზოგმა ნაწილმა დიდი დანაკლისი ჰპოვა, მეტადრე ოფიცრობაში. სულ წამოვიყვანეთ ტყვეთ ოფიცრები 173, სალდათები 10.000, 7 ზარბაზანი და 7 ტყვიისმფრქვეველი.

**პეტროგრადი.** თიბათვის 18. სამხედრო მინისტრ კერენსკიმ მინისტრთა თავმჯდომარეს შემდეგ დეპეშა მიჰმართა: დღეს რევოლუციის დიდი დღესასწაულია. თიბათვის 18 რუსის რევოლუციონურმა ჯარმა შეტევა დაიწყო, რევოლუციის ერთგულება და სამშობლოს თავისუფლების სიყვარული ქვეყანას დაუმტკიცა. თავისუფალი რუსეთის ჯარი რამდენიმე მშიშარას გარდა, თავის შეტევით მამულიშვილურ გრძნობაზე დამყარებულ ახალ დისციპლინას ამტკიცებს: დღეს—დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებულმა რუსის ჯარმა ბოროტმოქმედთა ცილის წამებას საზღვარი დაუდო. დაბეჯითებით გთხოვთ რაც შეიძლება მალე ნება დამრთოთ, რომ თავისუფალ ერის სახელით თიბათვის 18-ის ბრძოლაში მონაწილე ყველა პოლკს რევოლუციის წითელი დროშები დაურიგონ და შეტევის დამწყობ პოლკებს სახელად „თიბათვის 18-ის პოლკები" უწოდოთო. მინისტრ თავმჯდომარემ თავ. ლვოვმა კერენსკის შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „სრულიად რუსეთის სახელით დროებითი მთავრობა სალამს უძღვნის შეტევაზედ გადასულ რევოლუციონურ ჯარს. ბრძოლის ველზე გადაწყდება რუსეთის რევოლუციის ბედი. დაე ჯარმა იცოდეს, რომ მისი სამშობლო ერთ იდეის გარშემო შემოკრბება და ეს იდეაა კი რევოლუციის სასურველად ბოლომდის მიყვანაა.

თიბათვის 18-მა მთელს ქვეყანას დემოკრატიულ ნიადაგზე დამყარებულისა და რევოლუციის იდეალების მორწმუნე ჯარის ძლევა მოსილობა უჩვენა. თავისუფალ ერის სახელით, დროებითი მთავრობა თიბათვის 18 ის ბრძოლაში მონაწილე გმირ პოლკებს აძლევს წითელ დროშებს და შეტევის დამწყობ პოლკებს „თიბათვის 18-ის პოლკები" უწოდებს სახელად. დაე, რუსის ერის დიდი იმედების დღე რევოლუციონურ ჯარის რაინდულ პოლკების სახელთან ერთად ჩამომავლობას გადაეცეს.

**პეტროგრადი.** თიბათვის 18. თიბათვის 18-ს შეტევის შესახებ მოქმედი ჯარიდან იუწყებიან, რომ მე-49 კორპუსის ნაწილებმა და ფინეთის მე-6 დივიზიამ, მიუხედავად მტრის არტილერიის ძლიერ ცეცხლისა, კონიუხის ჩრდილოეთით მტრის თხრილების ორი რიგი ჩაიგდეს ხელთ. კორპუსის დანარჩენ უბანში ჩვენი არტილერია მტრის თხრილებს ანგრევდა. მტერი არტილერიის ცეცხლით გვიპასუხებდა. მე-6 კორპუსის უბანში ჩვენმა ჯარმა გამაგრებულ „შუა-გურა"-ს მთის ყველა თხრილები დაიჭირა. ჩვენი ჯარის ხელშია აგრეთვე პატარა მდინარე, კორამდის სოფელი კონიუხი და ტყე. წამოიყვანეს რამდენიმე ტყვე და ტყვიისმფრქვეველები წამოიღეს. მათი რიცხვი ჯერ გამოურკვეველია. მე-14 კორპუსის მე-3 ამურის დივიზიამ დაიპყრო სოფელ შიბალინის დასავლეთით მიდამოები და ლისონსკის ტყეში თხრილების სამივე რიგი. ბრზეჟანის ტყის მახლობლად მტერი არტილერიის ძლიერ ცეცხლით გვიპასუხებდა. ჟოლნევკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მე-74 ქვეითა დივიზიამ თხრილების ორი რიგი დაიჭირა. სოფელ პოსუხუვის მხრიდან მტერი არტილერიას ამოქმედებს. პოტუტორის სამხრეთ-დასავლეთით მე-7 ციმბირის კორპუსმა ორი რიგი თხრილებისა დაიჭირა. მიჩიშუვის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მე-34 და მე-22 კორპუსებმა პირველი და ზოგან მეორე და მესამე რიგი თხრილები დაიჭირეს. ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვე.

**ალლუმი ნოვოჩერკასკში**

**ნოვოჩერკასკი** თიბათვის 18. „დიდ მოედანზე" ქვეითა ჯარის და კავალერიის ალლუმი მოხდა. ალლუმის გათავების შემდეგ გენერალ კალედინს ატამანობის უმაღლესი ნიშანი „პერნაჩი" გადასცეს.

**მანიფესტაციები**

**დვინსკი.** თიბათვის 18. დიდი მანიფესტაციები გაიმართა. დროებით მთავრობას სრული ნდობა გამოეცხადა. საღამოს კიდევ ხუთი მიტინგი გაიმართა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** თიბათვის 18. მოხდა დიდი მანიფესტაცია მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების, სოციალისტურ პარტიების, პროფესიონალი კავშირის, სამხედრო ნაწილების და მოწაფეთა მონაწილეობით. უკრავდა სამხედრო მუსიკა. მანიფესტაციამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება იქონია.

**მიტინგი მოსკოვში**

**მოსკოვი.** თიბათვის 18. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელმძღვანელობით დიდი მიტინგი გაიმართა. ამ მიტინგით ნდობა გამოეცხადა ჯარისკაცთა ყრილობას. მუშები და ჯარისკაცები დანიშნულ ადგილისკენ მიდიოდნენ. ბოლშევიკებს მიტინგის დაშლა ჰსურდათ, მათ თავიანთი პლაკატები აფრიალეს შემდეგი წარწერით: მოგვეცით პური, ზავი და თავისუფლებაო, ძირს 10 კაპიტალისტი მინისტრებიო, მთელი უფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებსაო, ძირს იერიშზე გადასვლის პოლიტიკაო. ხალხში მათ ცდას გასავალი არ ჰქონია.

**სამხედრო მინისტრის ბრძანება**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. ბრძანება ჯარისა და ფლოტისადმი. 1917 წ. თიბათვის 16. მონობის ბორკილებ შემომტვრეულ ჯარმა მტკიცედ გადასწყვიტა სისხლის უკანასკნელ წვეთამდის დაიცვას თავისი უფლება, პატივი და თავისუფლება. ძმობის მორწმუნე რუსეთის დემოკრატიამ პატიოსანის და მარად სანატრელ ზავის ჩამოსაგდებად მოწოდებით მიჰმართა ყველა მებრძოლ ერს. მაგრამ მტერმა ღალატისკენ მოგვიწოდა. გერმანელებმა სეპარატიული ზავი შემოგვთავაზეს. როდესაც ჩვენ გვეძმობილებოდნენ, მაშინ ჩვენ მოკავშირეებთა წინააღმდეგ ახალ-ახალ შეტევას აწარმოებდნენ. ეხლა რა დარწმუნდა, რომ რუსეთი არ მოსტყუვდა, მტერი მუქარით ჩვენსკენ მოისწრაფის. სამშობლო გასაჭირშია. თავისუფლებას და რევოლუციას დაღუპვა მოელის. დადგა დრო და ჯარმაც თავისი ვალი პირნათლად უნდა შეასრულოს. ჩვენი მთავარსარდალი ჰმოწმობს, რომ დღითი-დღე მტერი ძალებს იკრებს და ემზადება. მხოლოდ გაბედულ შეტევით შევძლებთ მის შემუსვრას. ამიტომ, ვგრძნობ რა სამშობლოს წინაშე დიდს პასუხისმგებლობას, თავისუფალ ერისა და დროებით მთავრობის სახელით მოუწოდებ ჯარს სულიერად გამაგრდეს და მტერს შეუტიოს. დაე, ყველამ შეიტყოს, რომ ზავზე ჩვენ სისუსტე არ გვალაპარაკებდა. დაე, შეიტყონ, რომ თავისუფლებამ ჩვენ ძალა შეგვმატა. აფიცერნო და ჯარისკაცნო, იცოდეთ, რომ მთელი რუსეთი ლოცვა-კურთხევით მოგიწოდებთ საბრძოლველად. თავისუფლების, სამშობლოს ბრწყინვალე მომავლის და მტკიცე და პატიოსან ზავის სახელით გიბრძანებთ წინ!

სამხედ.-საზღ. მინისტრი **კერენსკი**

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ტელეგრაფის გაფუჭების გამო, დეპეშები სრულიად არ გამოუგზავნია.**

## ბრძოლის ველზე

რუსეთის რევოლუცია მის მოკავშირეებს მრავალჯერ უფრო ძვირად დაუჯდათ ვიდრე თვითონ რუსეთს. საბოლოო ანგარიშის შედგენა შეუძლებელია. ცხადია მხოლოდ, რომ ეს რევოლუცია შეიძლება საბედისწერო იყოს კავშირისათვის. ხოლო ჯერჯერობით დღევანდელი შედეგი ამ რევოლუციისა, „რუს. ინვალიდ"-ის სიტყვით, ასეთია:

1) ჩაიშალა მძლავრი და შესანიშნავად დამზადებული ინგლის-ფრანგთა შეტევა არრას-სუასონ-რეიმსის მხრით, რომელსაც მიზნად ჰქონდა ბელგეთის დაბრუნება და რეინის ხეობის აღება. ჰინდენბურგმა რუსეთის ჯარის დაშლა ანგარიშში ჩააგდო, 20 დივიზია მოხსნა რუსეთის ბრძოლის ველზე და ესოდენი ჯარი ფრანგ-ინგლისელებს მიაყარა.

2) მესოპოტამიაში რუს-ინგლისელთა წინსვლა შეჩერდა, რადგან მოპირდაპირემ რუსეთ-კავკასიის ფრონტიდან რამდენიმე დივიზია მოხსნა და მესოპოტამიაში გაგზავნა.

3) იტალიელთა საქმე ავსტრიის საზღვრებზე ძალიან კარგად მიდიოდა, მაგრამ მტერს აქაც რუსეთის რევოლუციამ უშველა.

4) მაკედონიაში ფრანგ-ინგლისელთა ჯარებმა შეტევა დაიწყეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

პირველად კარგად წასული საქმე შემდეგში ყველგან ჩაიშალა. რამდენიმე ასიათასი კაცი ტყუილ-უბრალოდ დაიღუპა. მოკავშირენი ესოდენ ძალთა განიავებას და უნაყოფოდ ესოდენ მსხვერპლის გაწირვას რუსის ჯარს აბრალებენ.

რევოლუციამ რუსის ჯარი ყუმბარასავით გახეთქა, ათას ნაკუწად აქცია და გაჰფანტა. სამ თვეზე მეტია რაც ახალი რუსეთი ამ ნაკუწების მოკრეფას და შეკოწიწებას უნდება.

რამდენიმე დღის წინად დამბლად დაცემულმა რუსის ჯარმა ოდნავ ერთი ხელი გაანძრია. ეს ამბავი მთელ რუსეთს და მის მეგობრებს სიხარულის ელდად ეცემათ. რუსის ჯარი არ მომკვდარა, იგი მხოლოდ დამბლად იყო დაცემული და ლამობს წამოწევას, წელში გასწორებას.

18 ივნისს, ორი დღის საარტილერიო მომზადების შემდეგ მე-11 და მე-7 არმიებმა შეუტიეს გალიციაში გერმანელთა არმიას (გენერალის ბოტმერისა) და ავსტრიელთა მეორე არმიას (გენ. ბემ ერმოლისას).

პირველი შეტევა ნაყოფიერი გამოდგა. რუსის ჯარებმა ერთს ადგილას მოპირდაპირეს წაართვეს სამი რიგი თხრილებისა, ხოლო მეორე ადგილას ზოგან ერთი, ზოგან ორი და ზოგანაც სამი.

არ ვიცით ვითარება და მიმდინარეობა შეტევისა. კერძოდ იუწყებიან, მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევსო. სახიფათოთ და ნაადრევია გადაჭრით რისიმე თქმა. ვიტყვით მხოლოდ გადაჭრით, რომ ამ შეტევას უდიდესი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება მას მცირედი სტრატეგიული შედეგი მოჰყვეს, მაგრამ ცხადია, რომ ეს შეტევა მოკავშირეთა და მის მოპირდაპირეთა გეგმებში არევ-დარევას გამოიწვევს. გერმანეთის მთავარი შტაბი ანგარიშში ჩააგდებს რუსის ჯარის განძრევას, მაგრამ ვერც იმას დაივიწყებს, რომ ამავე დროს ეს ჯარი შინაურ ომისთვის ემზადება და თავის ძალთა დაშლა-დაქსაქსვას.

ძნელია, თითქმის შეუძლებელია ერთი ხელით მტრის მოგერიება, ხოლო მეორე ხელით ურჩი დივიზიების დაპყრობა-დაპატიმრება.

ვისაც სურს შეფასება რუსის ჯარის დღევანდელ იერიშისა და შეტევისა, მან გაფაციცებით უნდა თვალ-ყური ადევნოს ამავე ჯარის შინაურ ყოფაქცევას.

სამხრეთ სპარსეთში ერთი თვის წინად ქურთების ძლიერმა ცხენოსანმა ჯარმა შემოარღვია რუსის ჯარის ბრძოლის ველი ქ. სინნესა და კასრი შირინის შუა (ქერმანშაჰის მახლობლად) და ხელთ იგდო 20-ათასი ოთხკუთხი ვერსი. მას აქეთ რუსის ჯარი შემოსეულ ქურთებს ებრძვის და თან და თან იბრუნებს წართმეულ ადგილებს. ზაფხულში აქ ისეთი სიცხე-პაპანაქებაა, რომ ბრძოლის განვითარება და დიდი მანძილის დაძლევა ყოვლად შეუძლებელია. ორივე მხარე მხოლოდ იმისთვის იბრძვის, რომ გრილი მაღლობი შეინარჩუნოს და მოპირდაპირე ცხელ ბარში ჩარეკოს.

**მ. ად—ლი.**

## ეროვნული საკითხი

**უკრაინის შინაგანი მოწყობილება**

**კიევი.** თიბათვის 18. ცენტრალ რადის კომიტეტის დადგენილებით დაარსებულ უნდა იქნას შინაგან საქმეთა, საფინანსო, სასურსათო, სააგრარო, სამიწათმოქმედო საქმეების სეკრეტარიატები.

**ერობის ნაციონალიზაცია**

**კიევი.** თიბათვის 17. საერობო სამმართველოების წარმომადგენლებმა სასურველად სცნეს საერობო სამმართველოების საქმის წარმოება უკრაინულ ენაზე შემოიღონ. რუსული ენა ნახმარი იქნება ცენტრალ მთავრობასთან და ველიკო რუსებთან დამოკიდებულების დროს.

**უკრაინის ეროვნული ყრილობა**

**კიევი.** თიბათვის 18. დაიწყო კიევის საგუბერნიო ეროვნული ყრილობა უკრაინელებისა.

## გაზეთებიდან.

**პეტროგრადის პრესა და უკრაინა**

პეტროგრადის ყველა გაზეთებში წერილებს უძღვნიან უკრაინის რადის მიერ გამოცემულ უნივერსალს.

„რეჩ"-ი ამბობს: უკრაინელები ძლიერ ცუდათ [illegible] რუსეთს. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ მათ წინააღმდეგ იქნება არამც თუ დროებითი მთავრობა, არამედ რუსეთი მთელი თავისი ორგანიზაციებითაო.

„ნოვოე ვრემია" ჰფიქრობს, რომ უნივერსალი არსებითად ავტონომიის შემოღებას უდრის, ხოლო საზღვრები ამ ავტონომიისა არ არის აღნიშნული. ამიტომ არ ვიცით თუ უკრაინელთა მადა სანამდე მიაღწევსო.

„ბირჟევია ვედ." სწერს, რომ ფინების ს.-დემოკრატები უკრაინელებთან შედარებით მხოლოდ გამოუცდელი ბავშვები არიან. უკრაინელებმა აზრის ანარქიამდე მიაღწიესო, ამიტომ შეუძლებელია ამ უნივერსალს [illegible] მეტი სხვა სახელი უწოდოთო. ამიტომ გაზეთის აზრით, თუ რუსის მთავრობას ძალა მოეპოვება, იგი უკრაინის წინააღმდეგ უნდა იქნეს მოხმარილი.

„დენ"-ს აზრით უკრაინელთა ტონი შეუწყნარებელია, უკრაინელები არ არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ ასეთ ურჩობას შეიძლება ანარქია და რევოლუციის დამხობა მოჰყვესო.

**ლატიშელ სამხედრო მოხელეთა ყრილობა.**

ამ მოკლე ხანში დასრულდა მე-5-ე არმიის დელეგატთა ყრილობა. ყრილობამ მიიღო მრავალი რეზოლიუცია, მიიღო როგორც მომენტის საკითხების, ისე ლატიშეთის ავტონომიის შესახებ. რეზოლიუციით, ლატიშეთს, რომელიც აერთიანებს კურლიანდიას, ლიფლიანდიას და ლატგალიას, სათავეში საერთო ლატიშელთა სეიმი უნდა ედგას, რომელსაც ლატიშეთის საჭირო საკითხების შესახებ კანონმდებლობის უფლება ექნება მინი-

ჰ ბული. ომთან დამოკიდებულობის საკითხის გამო, ყრილობამ რევოლუციონურ თავდაცვის თვალსაზრისი აღიარა. დანარჩენ საკითხებში: აგრარულში, მუშათა და სხვებში—ყრილობა სოციალისტურ პარტიების პლატფორმას შეუერთდა.

დასასრულ, ყრილობამ გამოსთქვა, რომ მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე საკუთარი წარმომადგენელი იყოლიონ.

# რუსეთი და უცხოეთი

### მესტამბეების გაფიცვა

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 18. დაიწყო მესტამბეების გაფიცვა. დღეს არც ერთი გაზეთი არ გამოსულა, გარდა რუსულისა.

**იალტა.** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ავად გახდა.

## გაზეთებიდან

### რეიხსტაგის თავმჯდომარის ამხანაგი პეტროგრადში.

„ნოვოე ვრემიას" ცნობით, გერმანეთის ქვეშევრდომი გაზე, ამ ჟამად პეტროგრადშია და ქუჩებში თავისუფლად დასეირნობს. ომამდე გაზე არაერთხელ ჩამოსულა რუსეთში, უმთავრესად ის ბალტიის მხარეში ცხოვრობდა. გაზეს რუსეთში კარლოს კონტრაქტუვეჩის უწოდებდენ. მას იცნობდენ, როგორც გერმანელ ქვეშევრდომის ვალდვოგეის მამულის მოურავს. უფრო სენსაციონური ის არის, რომ როგორც გამოირკვა გაზე გერმანეთის რეიხსტაგის დეპუტატია ქალაქ მანგეიმის არჩეული და ერთ დროს თავმჯდომარის ამხანაგი იყო. და იგი დღეს თავისუფლად დადის გლუხოვის ბანკში და თავის მამულის საქმის ვითარებას ირკვევს.

**საქ.-ერობ. დემ. პარტიის დამფუძნებელ ყრილობის დადგენილებათა ბეჭდვა ხვალინდელ ნომრიდან დაიწყება.**

# ქრონიკა

## კავკასია

◆ **ინჟინერი ზაგალიშინი იძულებული გახდა** თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება მიერთმია კომისარიატისათვის.

◆ **ჯარში მყოფი მასწავლებლები.** კავკასიის სამხედრო ცენტრის კომისია წინააღმდეგია, რომ მომქმედ ჯარში მყოფი სახალხო მასწავლებლები განთავისუფლებულ იქნან სამხედრო სამსახურიდან.

◆ **საბჭოების გაერთიანება.** თიბათვის 16-ს, მოხდა გაერთიანება კავკასიის ჯარის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, თბილისის და ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის მუშათა და გლეხთა საბჭოების. ცენტრალურ საბჭოში აირჩიეს პრეზიდიუმი—თავმჯდომარეთ ნოე ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგებათ ევგ. გეგეჭკორი და დონსკოი, მდივნებათ: სახნო და ბეკზადიანი.

◆ **სოხუმის ოლქის გამოყოფა.** სოხუმის ოლქის აღმასრულებელმა კომიტეტმა ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს აცნობა, რომ იგი ეხლა პირდაპირ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ექვემდებარება.

◆ **მთიელთა და ყაზახთა შეტაკება.** სტანიცა ფერდმარშალის ყაზახებს და სურხარის მთიელებს შეტაკება მოუხდათ. ამ არა სასიამოვნო საქმის გამოსაძიებლად გაგზავნილ იქნა სახელმწიფო სათათბიროს კომისარი მ. ყარაულოვი. როგორც გამოძიების შემდეგ გამოირკვა საქმის ვითარება ასე ყოფილა: კარი ხანია მას აქეთ, რაც ყაზახებში არა საკადრისი ხმები დატრიალდა, ვითომ მთიელებს არ სურთ იცნონ ყაზახთა უფლებები ყაზახების მიერ დასახლებულ მიწებზე. ეს ხმები ყაზახებში თანდათან ვრცელდებოდა და შიშს იწვევდა მათში. თითქმის არავინ არ იცოდა ამ საზიზღარ ცილისწამებას ვინ სთესდა ყაზახებში... ყაზახებმა ანგარიში გაუწიეს ამ ხმებს და თავიანთი მიწების თავდაცვას შეუდგნენ. დაიწყეს დარაჯობა. თიბათვის 1-ს, დილის 9 საათზე დარაჯებმა ყაზახთა მიწაზე შეიპყრეს ორი ინგუში, რომელნიც ბალახს სჭრიდენ ყაზახების სათიბზე. იქვე იდგა ინგუშების ორი ურემი. ინგუშებს და მოდარაჯე ყაზახებს ლაპარაკი მოუვიდათ. მცირე კამათის შემდეგ ერთმა ინგუშმა იძრო ხმალი და სასიკვდილოდ დასჭრა დარაჯი და წინამძღვარი. ამის საპასუხოდ ყაზახებმა იქვე რევოლვერით მოჰკლეს ინგუში. ამ შეტაკების დროს აგრეთვე მოკლულ იქნა მეორე ინგუშიც. ეს ამბავი სისწრაფით მოედო მთელ სტანიცას, ასტყდა აურ-ზაური, იწყეს ყაზახებმა მზადება, მოუყარეს თავი ყველას. ამას გარდა გზაზე მოკლული ნახეს სხვა ორი ყაზახი და ამან უფრო მოუმზადა ნიადაგი სამწუხარო შეტაკებას. ამის შემდეგ ს. სურამახში გაიმართა საჯარო კრება ყაზახთა თანდასწრებით სასიამოვნო შედეგს მიაღწიეს, მთიელებმა საჯაროდ განაცხადეს, ყაზახთა უფლებას მათ მიწებზე ვაღიარებთო.

## საქართველო

◆ **საპროტესტო დეპეშა.** გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილია ახალქალაქის მაზრის კომისარების—მანანდოვისა და პრაპორჩიკ პილავოვის დეპეშა, რომელშიაც ისინი პროტესტს აცხადებენ გაზ. „ჰორიზონ"-ის მე-123-ე ნომერში დაბეჭდილი ცნობის გამო შესახებ იმისა, რომ მაზრაში გლეხები მშვიდობიანად სცხოვრობენ, წეს-რიგი არსად დარღვეულა და ამ საგნის შესახებ მაზრის კომისარების მიერ საგუბერნიო კომისარებთან გაგზავნილი მოხსენება ტყუილია. მანანდოვი და პილავოვი ამტკიცებენ თავიანთ დეპეშაში, რომ მაზრაში უწესოებაა, ხშირად იარაღით ხელში ხალხი მშვიდობიან მემამულეთა უფლებებს არღვევს და კანონს არ ემორჩილება. კომისარები ასეთ ექსცესებს ვიღაც მალულ აგიტატორებს აბრალებენ.

◆ **კახეთის რკინის გზის სადგურებზე** არსად ფარდულები არ არის და მგზავრები წვიმასა და სიცხეში დიდ გაჭირვებაში არიან ხოლმე. ხალხს არა ერთხელ განუცხადებია უკმაყოფილება ამის შესახებ, გზის ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

## თბილისი.

◆ **ვაგონის მიმოსვლის შეჩერება.** ტრამვაის ადმინისტრაციამ, ტეხნიკურის მოსაზრებით, საჭიროდ სცნო შეჩერებულ იქმნას ვაგონებით მიმოსვლა ციციშვილის აღმართზე. განკარგულება იმან გამოიწვია, რომ ვაგონებს აუარებელი უბილეთო სალდათი აწვება და საშიშოა უბედურება არ დატრიალდეს, რადგან ვაგონები დაძველებულია, შეუკეთებელი და ზედმეტი ტვირთის ზიდვა აღმართში არ შეუძლიან.

◆ **ლექცია.** ოთხშაბათს, თიბათვის 21-ს საღამოს 7 საათზე, ივ. როსტომაშვილი წაიკითხავს ქართულად ლექციას (ჩერქეზიშვილის ქუჩა, სკოლის შენობა, № 29) შემდეგ თემაზე: „რევოლუციამ დაბადა სრულიად ახალი საფუძვლები კოოპერატივებისა და ჩვენ კი გვძინავს". შესვლა უფასოა, ლექციის შემდეგ კამათი.

◆ **ერობათა კავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილების ბუჰგალტერიის** გამგედ ფილიპე გოგიჩაიშვილის ადგილას, რომელმაც მოუცდელობის გამო თანამდებობას თავი დაანება, თანახმად კოლეგიის სურვილისა, დანიშნულია ი. ი. საიანოვი.

— კავშირმა დაადგინა პატარა ცემში კავშირის მოსამსახურეთათვის სანატორია მოაწყოს და ამისათვის შეიძინა ექ. ვახ. ღამბაშიძის სანატორია.

◆ **სალდათთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს** სასარგებლოდ თბილისის ბანკებში 35,000 მან. მოუგროვებიათ.

◆ **ქართველ მხედართა კავშირი,** კვირას თიბათვის 25, ახალი კლუბის საზაფხულო შენობაში და ბაღში საღამო სეირნობას ჰმართავს.

◆ **დიაკონ-მედავითნეთა ორგანიზაციის პროტესტი.** ქ. თბილისის ეკლესიების დიაკონთა და მედავითნეთა ორგანიზაცია ღრმა პროტესტს აცხადებს ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში რუსი მღვდლის დანიშვნის და ქართველ მღვდლის დეკ. იაშვილის დითხოვნის გამო. ამ ეკლესიაში შემთანხმებელ კომისიის გადაწყვეტილებით შერეული მრევლი უნდა იყოს რუსობაც და ქართველობაც, მათი სულიერი მოთხოვნილება ჯეროვანად უნდა დაკმაყოფილდეს, ამას კი რუსი მღვდელი ვერ შესძლებს. ამიტომ დიაკონნი და მედავითნენი ამ უხეშურ შეცდომის გასწორებას მოითხოვენ ვისგანაც ჯერ არს.

## პროვინცია.

◆ **საზეიმო საღამო ქ. გორში ვ. გუნიას პატივისაცემათ** ოთხშაბათს თიბათვის 21 ქალაქ გორის საზოგადოება საზაფხულო საკრებულოს დარბაზში ვალერიან ლევანის ძე გუნიას საზეიმო საღამოს მართავს. ზეიმის მოსაწყობად უკვე ორი თვე იქნება რაც არჩეულ იყო საგანგებო კომიტეტი ადგილობრივ ინტელიგენციისა და პარტიების წარმომადგენლებისაგან; კომიტეტს უნდა შეემუშავნა ზეიმის პროგრამა და დაენიშნა დღე.

ამ დღისათვის თბილისიდან ჩამოვლენ გორში ვასო და ტასო აბაშიძენი, ალ. იმედაშვილი, ან. ქუქიძე, ვარვარაძე და სხვანი. ეს მსახიობნი სადღესასწაულო კრების შემდეგ წარმოდგენას გამართავენ. წარმოდგენილი იქმნება იუბილარისავე მხიარული სამ მოქმედებიანი კომედია „სიძე-სიმამრი".

◆ **ქურდების სიკვდილით დასჯა.** კაი ხანია მას აქეთ რაც ალაზან გამა სოფლებში, სამი გამოჩენილი ქურდი დათარეშობდა და სოფლებს აწუხებდა. აღარაფერს აღარ არჩენდნენ გლეხობას, არც საქონელს და არც ჭირნახულს, ყველაზე მეტად კი ენისელი იყო მათგან შეწუხებაში და ამ სოფელმა მოუღო ბოლო მათ თავგასულობას: მოთმინებიდან გამოსული მთელი სოფელი შეუდგა ამ დღეებში ამ ქურდების ძებნას, მალე იპოვნეს კიდეც თავიანთ ნაქურდლებით ტყეში, ერთი მეძროხის ბინაში შეიპყრეს, ჩამოიყვანეს სოფელში და სახალხოდ დახვრიტეს სამივე.

ქურდებთაგანი ერთი ენისლის მცხოვრები იყო, არჯენიშვილი, მეორე—ს. გრემისა—ჯაფარიძე და მესამეს. დიდი ვაკიდან—ჩაჩანი.

◆ **სამოქალაქო არჩევნების საქმე თელავში.** მიუხედავათ იმისა, რომ ყოველ დღე გაზეთებში მოწოდებაა, საქალაქო არჩევნებისათვის ჩაეწერენითო და კიდეც დადიოდნენ ამ დღეებში აღმწერელნი მოქალაქეთა ჩასაწერად, მაინც ბევრმა არ ისურვა ჩაწერა. ვიღაცეებს რაღაც ხმები გაუვრცელებიათ და ხალხი დაუშინებიათ. ამიტომ მან ზურგი უქცია არჩევნებს.

◆ **წარმოდგენა ს. ახმეტაში.** ხუთშაბათს თიბათვის 22-ს გაიმართება ს. ახმეტაში საღამო სამს განყოფილებათ. წარმოდგენილი იქნება ალ. ცაგარლის „მაიკოს" მესამე მოქმედება და ილია ჭავჭავაძის პოემა „დედა და შვილი". დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. მესამე განყოფილებაში გაიმართება დივერტისმენტი; იმღერებს ადგილობრივი გუნდი. შემოსავლის სამი ნაწილი გადაეცემათ ორვილისაგან დაზარალებულთ, ხოლო ერთი ნაწილი ახმეტის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს.

◆ **სოფელი საგარეჯო.** საგარეჯოს დრამატიული საზოგადოება, წინა წლების ჩვეულების მიხედვით, თიბათვის 29-ს, პეტრო-პავლობა დღეს, წარმოდგენას გამართავს, რომლის წმიდა შემოსავალი გადაიდება საგარეჯოს თეატრის ვალების გასასტუმრებლად. წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე".

◆ **ოპერეტკები პროვინციებში.** მსახიობ ნ. ჩაგუნავას თაოსნობით ამ ზაფხულს ბევრს დაბა-ქალაქებში ქართული ოპერეტკები გაიმართება.

# გლეხთა დელეგატების ყრილობა

გუშინ, თიბათვის 20-ს, დილის $10^1/_2$ საათზე, ძმ. ესიკოვსკების ცირკში დაიწყო ამიერ-კავკასიის გლეხთა დელეგატების ყრილობა. დარბაზში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, გარეშენიც ბევრნი იყვნენ. კრება დაიწყო საორგანიზაციო ბიუროს წევრმა ა. ნერუჩევმა და მიესალმა ყრილობას, მიესალმნენ აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებათა და მომქმედ ორგანიზაციების სახელით: ა. ჩხენკელი, ჯაფაროვი, პაპაჯანოვი, ნ. ჟორდანია, პიჟუვი და სხვ. მთელი რუსეთის ყრილობის სახელით საგანგებო დელეგაცია მიესალმა კრებას. ხანგრძლივი კამათი და დიდი აურ-ზაური გამოიწვია საკითხმა, მიეცესთ თუ არა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს სიტყვის ნებაო. საორგანიზაციო ბიურო ასეთი სიტყვის მიცემის წინააღმდეგი ყოფილა და ბიუროს ბევრი დელეგატიც მხარს უჭერდა. მაგრამ კრების წევრების ერთი ნაწილი თხოულობდა, რომ ლაპარაკის ნება ჰქონოდათ პარტიების წარმომადგენლებს. ერთმა დამსწრეთაგანმა ისიც კი მოითხოვა, რომ თბილისის ქალაქის წარმომადგენელმა (მხედველობაში ალ. ხატისოვი ჰყავდა) ილაპარაკოსო. დარბაზში ისეთი ერიამული ასტყდა, რომ ერთი მეორისა აღარავის ესმოდა რა. თავმჯდომარის ზარის წკარუნს ყურადღებას არავინ აქცევდა. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე თავმჯდომარემ არა სტუმრებსა და დელეგატებს სთხოვა დარბაზიდან გასულიყვნენ, მაგრამ გარედ გასვლას არავინ ჰფიქრობდა. შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას მცირე ხნით კრება შეწყვეტილიყო და კერძო მოლაპარაკება გაემართათ ერთმანეთ შორის კრების პრეზიდიუმისა და მანდატების გამრჩევ კომისიის არჩევის შესახებ.

# ქალაქის საბჭო

### თიბათვის 19

კრება ღამის 9 საათზე დაიწყო ალ. ხატისოვის თავმჯდომარეობით. რამდენიმე ხმოსანი გამგეობას შეეკითხა პურისა და წყლის სიმცირის შესახებ. პურის შესახებ გამგეობამ უპასუხა, რომ ამ საქმეს ამ ჟამად ქალაქის სასურსათო კომიტეტი უძღვება და ქალაქის გამგეობას აღარა ეკითხება რა, ხოლო წყლის შესახებ განაცხადა, რომ ღონისძიებაა ნახმარი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამის შემდეგ წყალი საკმაოდ იქნებაო. სხვა მოხსენებათა შორის საბჭომ განიხილა ქალაქის სარევიზიო კომისიის მოხსენება შესახებ წინანდელ გამგეობის უკანონო მოქმედებისა, რაიც იმაში მდგომარეობს, რომ 1) გამგეობას ნაძალადევში ერთი ნაკვეთი მიწა ოდესღაც საჟენი თითო მანეთად დაფასების კვალობაზე გაუყიდნია, მაშინ როდესაც შემდეგ ეს მამული საჟენი 15 მანეთად ყოფილა დაფასებული და 2) გამგეობას კერძო კაცისათვის მიუყიდნია ქუჩის გასაყვანად დატოვებული ადგილი. სარევიზიო კომისია თხოულობდა, რომ მაშინდელ გამგეობის წევრებმა ქალაქის კასას უნდა აუნაზღაურონ მამულის გაყიდვით გამოწვეული ზარალიო. მაშინდელ გამგეობის შემადგენლობიდან ეხლანდელ გამგეობაში მარტო ივ. ხატისოვია. საბჭომ, ხანგრძლივ კამათისა, ხატისოვის და მ. ათაბეგოვის განმარტების შემდეგ, გამგეობის მოქმედება კანონიერად სცნა.

შემდეგ კრებას უნდა განეხილა ქალაქის სასურსათო კომისიაში მყოფ ქალაქის საბჭოს რწმუნებულების მოხსენება შესახებ კომიტეტის მოქმედებისა და საერთოდ სასურსათო საქმის მდგომარეობისა, მაგრამ საბჭოს არც ერთი წარმომადგენელი კრებაზე არ აღმოჩნდა, ყველანი უკვე წასულიყვნენ. მოხსენების განხილვა შემდეგისათვის გადაიდვა. მაგრამ სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ ხმ. ს. არუთინოვმა განაცხადა: სასურსათო კომიტეტი თავის საქმეს არ ასრულებს, სურსათს ვერსად შოულობს და როცა გაუჭირდება, დაწესებულებებს და კერძო კაცებს სტაცებს ფქვილსაო. მაგალითად ორატორმა მოიყვანა, რომ კომიტეტმა ნებადაურთველად და მოურიგებლად 30 ვაგონი ფქვილი მოსტაცა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას და არც კი ვიცით, დაუბრუნებს ამ ფქვილს საზოგადოებას, თუ არაო. ა. ხატისოვი და გ. ჟურული ამშვიდებდნენ არუთინოვს, რომ ასეთი მოქმედება სასურსათო კომიტეტისა უკიდურესმა მდგომარეობამ გამოიწვია: კომიტეტისავე 80 ვაგონი ფქვილი ვიღაცამ გზაში მიიპარა, თბილისში ფქვილი არ იყო და მშიერი ხალხის მხრივ ექსცესსები იყო მოსალოდნელი და ასეთ შემთხვევაში კეთილგონიერება მოითხოვდა კომიტეტი ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა. ქალაქის გამგეობაც ამ რიგად იქცეოდა ხშირად ამ ომიანობის დროსო და სხ. მაგრამ ხმ. არუთინოვი არ სცხრებოდა. არუთინოვს მხარი დაუჭირა ევანგულოვმა.

საბჭომ დაადგინა დაავალოს სასურსათო კომიტეტში მყოფ თავისს წარმომადგენლებს გამოიძიოს სინამდვილე არუთინოვის განცხადებისა და შემდეგ კრებას წარმოუდგინოს.

# პოლონელის ხმა

პოლონელი ლიუდვიკი მიხაილის ძე პეკარსკი, რომლის ქალაქის სათათბიროს ხმოსნად დასახელება მე-8 უბნის ამომრჩეველ წრეს განუზრახავს, „ვოზროჟდენიე"-ს № 57-ში უარს აცხადებს თავის კანდიდატურაზე.

„მე პოლონელი ვარ,—ამბობს პეკარსკი,—პოლონელები კი არავის უფლებას არ შეეცილებიან.

ამიტომ, ჩემის აზრით, ქალაქის ხმოსნად მხოლოდ კავკასიის მკვიდრი მცხოვრებნი უნდა იქმნას არჩეული, ან და ის, ვისთვისაც კავკასია მეორე სამშობლოა. მაგრამ უცხოელს (მე კი უცხოელი ვარ აქ, რადგან ჩემი სამშობლო, პოლონეთი ისევე თავისუფალი უნდა იყოს, როგორც ას-ორმოცდა ათი წლის წინად იყო) კი ნება არა აქვს იმ მოქალაქეთა უფლებებში ჩაერიოს, რომელთა შორის იგი სტუმარმოყვარეობით სცხოვრობს. სხვის უფლებებში ჩარევა ყოველთვის სძულდათ ჩემს წინაპრებს და მეც ნებას არ მივცემ ჩემ თავს, რომ ეს მოვიმოქმედო.

ხალხის წარმომადგენლად ის უნდა იქნეს არჩეული, ვის წინაპართაც სისხლით მოურწყავთ თავიანთი მიწა-წყალი. მე კი, როგორც პოლონელ სტუმარს ნება არა მაქვს ხალხის წარმომადგენლობა ვიკისრო.

როგორც სრულ უფლებიანი მოქალაქე კი მე ხმას მხოლოდ მას მივცემ, ვის წინაპართაც აქ უცხოვრიათ. და ვისაც მიწა ოფლითა და სისხლით მოურწყავთ.

# სომეხთა ნაციონალური ბიურო

„გაზ. „ბაკუ" № 132-ში სწერს:

„მშაკის" კორესპონდენტი ბაქოს სომეხთა ნაციონალურ ბიუროს შესახებ იუწყება, რომ მიმდინარე ცხოვრების ერთი საჭიროებათაგანი ამ ნაციონალურ ბიუროს რეორგანიზაცია იყო. ამ მიზნით, ბ. ტერ-მიქაელიანის მომხდარ თავმჯდომარეობით, რამდენჯერმე ბჭობამ დაადგინა ნაციონალური ბიუროს რეორგანიზაცია. ნაციონალურ ბიუროში ყველა მიმართულებათა წარმომადგენლები, რიცხვით 50, ეს 50 კაცი ნაციონალურ ბიუროს კანონმდებლობით საბჭოს შეადგენს. ამ 50 კაცში 20 უპარტიოა, 17 დაშნაკცაკანი, 7 სომხის სოც. დემ. მუშათა ორგანიზაციის წევრი და 6 ჰნჩაკისტები. სომეხთა ბიუროს 29. უპარტიოთა შორის არიან ისეთი პირები, რომელთა უპარტიობა ჯერ კიდევ საკითხია, მაგ. ტიგრან იოანნისიანი, ტიგრან ბეგზადიანი, არამ არაქელიანი, ლ. შანგი და სხვანი. საბჭომ თავის შორის 12 წევრიანი აღმასრულებელი ორგანო ამოირჩია. მათ შორის 4 უპარტიო, 4 დაშნაკცუტუნი, 2 სომხის სოც. დემ., მუშათა ორგანიზაციის წევრი.

თავმჯდომარედ 27 ხმით ო. კარაზნუნი იქმნა არჩეული (დაშნაკცუტუნი), მის ამხანაგად ე. ტაგიანოსიანი, (უპარტიო) მდივნად პიჩიკიანი (სოც. დემოკრატი).

ნაციონალური ბიურო დროებითაა ამორჩეული. მისი მიზანია, ერთის მხრივ, ადგილობრივ სომეხთა ცხოვრების მიმდინარე საჭირო საკითხების პატრონობა და, მეორე მხრით მუდმივ ნაციონალურ ბიუროს ასარჩევად მზადება. ამ დღეებში ნაციონალურ ბიუროს პირველი კრება იყო, დაადგინეს ბიუროს სახელად" სომეხთა საზოგადო და პოლიტიკურ მიმართულებათა დროებითი საბჭო" უწოდონ.

აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ ამორჩეულია გ. ბ. ტერ-მიქელიანი, და მის ამხანაგად—ა. გიულხანდანიანი. ხმის უმრავლესობით დადგენილია, რომ კრებაზე პრესის წარმომადგენლები არ შეუშვან ცნობებს თავიანთ მოქმედების შესახებ საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტის მდივნები მიაწვდიან გაზეთებს.

# ძნელი საქმე

(სკოლების გაეროვნების გამო)

დღეს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ ჩვენი სასწავლებლების გაეროვნებაზე. სკოლის გაეროვნება ხომ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ეხლანდელ ხანაში, მაგრამ კიდევ უფრო საჭიროა ოჯახის გაეროვნება და სწორედ აქ უნდა ჩავუდგეთ საძირკველი ჩვენი ეხლანდელი სკოლების გაეროვნებას.

მაგრამ ყველას მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ოჯახი დიდი ხანია ჭეშმარიტ გზას ასცდა და გადაგვარების გზას დაადგა; ეს გადაგვარება ჩვენი ოჯახისა ისე შორს არის წასული, რომ მის უკან დაბრუნებას დიდი დრო და შრომა ესაჭიროება, რადგანაც „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესია".

გადაგვარებულია ოჯახი, როგორც შვილები, ისე მშობლები, უმეტესად ისინი, ვისაც ეხლანდელ სკოლაში უსწავლიათ. მშობლებს რომ თავი დავანებოთ, შვილებს ისე არეული აქვთ დავთარი, უბრალო წინადადებას ვერ იტყვიან ქართულად ისე, რომ რუსული სიტყვები არ ჩააკერონ შიგ. უბრალო ცნებებიც კი ისე აქვთ გარყვნილი, რომ მამას პაპას ეძახიან, დედას - მამას, გამდელს—ნიანიას და სხ. ამიტომაც მოგახსენებთ, რომ შეგნებულმა მასწავლებლობამ უპირველეს ყოვლისა ამ სამწუხარო მოვლენას უნდა მიაქციონ ყურადღება და ოჯახის გაეროვნებიდან უნდა დაიწყონ საქმე, თუ სურთ, რომ სკოლის გაეროვნების საქმემ სასურველი ნაყოფი გამოიღოს.

ეს კარგად შეუგნიათ ზოგიერთ ჩვენს მასწავლებლებს და ამიტომაც ემუდარებიან მშობლებს დაეხმარონ მათ ჩვენი სკოლის გაეროვნების საქმეში.

გადაგვარებულ გზაზე დამდგარი ყმაწვილების ერთბაშად გასწორება და მორჯულება, რასაკვირველია, შეუძლებელია, ეს დროსა და თანდათანობას მოითხოვს, მაგრამ მაინც მშობლებმა ოჯახში და მასწავლებლებმა სკოლაში ძლიერ ერთგულად უნდა იმუშაონ, რომ გადაგვარებული ყმაწვილები გაასწორონ და გადაუგვარებელი მაინც დაიცვან გადაგვარებისაგან.

მაგრამ უფრო დიდი უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ თვით ბევრი ეხლანდელი მასწავლებელიც ძლიერ ჰკოჭლობს ქართულ ენის წმინდათ ლაპარაკში. ისინიც ხშირად აჭრელებული ენით ლაპარაკობენ. თქვენ ხშირად გაიგონებთ სკოლებში ასეთ ბრძანებას: „ვანიჩკა! წადი, სტოროჟს დაუძახე"; „დეჟურნებმა პერემენის დროს „კოშკები გაღეთ" და სხვ.

რადგანაც არ მოველოდით, რომ რუსეთში ცხოვრების პირობები და სკოლების ბედიც ასე ერთბაშად შეიცვლებოდა, ამიტომ ამ ბედნიერ მოვლენას ჩვენ თითქმის სრულიად მოუმზადებელი დავხვდით. სკოლების გაეროვნებისთვის ჩვენ დღეს არა გვაქვს დედა-ენაზე საჭირო სახელმძღვანელოები, არა გვყავნან მომზადებული მასწავლებლები, არა გვაქვს მათ მოსამზადებლად საჭირო სპეციალური სასწავლებლები და არც შემუშავებული ტერმინები, რომლების ცოდნაც აუცილებლად საჭიროა სხვა და სხვა საგნების სწავლების დროს სკოლაში.

მაშ საჭიროა ეხლავე შევუდგეთ სხვა და სხვა საგნების სასწავლებლად სახელმძღვანელოების შედგენასა და გამოცემას, მასწავლებლების მომზადებას და საჭირო ტერმინების შემუშავებას.

პირველი ნაკლის შესავსებად უკვე მუშაობენ ჩვენი შეგნებული მასწავლებლები როგორც თბილისში, ისე ქუთაისში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგინი გადაათვალიერებენ არსებულ სახელმძღვანელოებს, შეასწორებენ, შეავსებენ და ახლებსაც გამოსცემენ.

რაც შეეხება მასწავლებლების მომზადებას, ერთი ასეთი სასწავლებელი უკვე დაარსეს ჩვენმა მანდილოსნებმა თბილისში, სადაც უნდა მომზადდნენ დროის შესაფერი მასწავლებელი ქალები. ფრიად საჭიროა ასეთი სასწავლებელი სხვაგანაც დაარსდეს. ამას გარდა ჩვენ ვიცით, რომ ხონის საოსტატო სემინარიაში თითქმის ყველა მოსწავლე ქართველია. მაშ შეიძლება ეს სასწავლებელი ნაწილობრივ საეროვნო საოსტატო სემინარიად გადაკეთდეს. ისინი-კი, ვინც იქ დღეს სწავლობენ და სხვა ეროვნებას ეკუთვნიან, შეიძლება გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდნენ. გარდა ამისა ჩვენმა წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ უნდა დააარსოს ეხლავე ერთი მაინც, საოსტატო ინსტიტუტი და რამდენიმე საოსტატო სემინარია გაეროვნებული სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებლად. საჭიროა აგრეთვე გამართოს დროებითი კურსები მასწავლებელთა სავარჯიშოდ და მოსამზადებლად. ასეთი კურსების გამართვა, როგორც ვიცით, უკვე განიზრახა ქართველ მასწავლებელთა საზოგადოებამ თბილისში მომავალ მარიამობის დამდეგს, მაგრამ ერთი თვის დანიშვნა მასწავლებელთა სავარჯიშოდ, ჩვენი აზრით, სრულებით საკმარისი არ იქნება.

ტერმინების შესამუშავებლად და გამოსარკვევად უკვე იღვწის ზოგიერთი მცოდნე პირი, მაგრამ ეს რასაკვი-

რველია, საკმარისი არ არის; ამიტომ საჭიროა ამ საქმის მოგვარებაც. ჩვენმა საკულტურო საზოგადოებებმა იკისრონ: მოიწვიონ მცოდნე პირები, დაუნიშნონ მათ შრომის ჯილდო და ამ ნაირად შექმნან მუდმივი ორგანო, რომელიც უფრო სისტემატიურად იმუშავებს და წიგნების შემდგენლებს და მასწავლებლებსაც საქმეს გაუადვილებს.

გ. იოსელიანი.

## შეუნიშნავი ხელნაწერი

(ვუძღვნი გ. თ. ჟორდანიას)

ამ ხელნაწერის შესახებ მოკლე ცნობას იძლევა ისტორიკოსი თედო ჟორდანია 1886 წელს („ივერია“, 1886, № 204). ხელში ჩამივარდაო ჩვენს მწერლობისთვის უცნობი ძველი ხელნაწერი ისტორიული პოემა ვილაც ფავლენიანისა, ვახტანგ მეექვსის და მის შვილების თანამედროვისა. პოემა შეიცავსო 274 ტაეპს, ანუ 1096 სტრიქონს. ვრცელ წინასიტყვაობის შემდეგ გადადისო მეფეთ ცხოვრებაზე: მეფე შანაოზი, მეფე ვახტანგ მეექვსე და მისი შვილები, მისი მოლაპარაკება პეტრე დიდთან, მისი გადასახლება რუსეთს: რაჭა, ჩერქეზეთი, აშტარხანი, მოსკოვი, ქართველთ (გადასახლებულთ) თავგადასავალი, იესეს ღალატი და სხ. ფავლენიანის ნაამბობს მეტი მნიშვნელობა აქვსო, ვიდრე ამგვარსავე ნაამბობს დავით გურამიშვილისა. ვახუშტისთვის მიუძღვნია სტრიქონები:

„ვახუშტი ქრისტეს მოსავი,
მის მცნებაზედა დარგული,
ბწყვე მეცნიერი ცოდნისა,
ყველაში შესწევს ძალ-გული
სულ ალასრულა ყოველი,
სწავლა ლათინთა, ფრანგული“.

პეტრემ რომ დაიბარა, მოდი, მრავლად მოიყვანე მხლებლები, მეფე მაშინ ალევში იყოო; გამოიწვია თვისი ძმები და შვილები და მათთან ითათბირა, როგორ მოვიქცეთო.

„სამი ძმა და ორი შვილი
არჩევს საქმეს წყნარს, არ მალებს:
„რა მივწეროთ ხელმწიფესა,
ღვთის მოყვარეს, გულით სალებს“.
შეკრეს, ხლება შეუთვალეს,
ხვაშიადი მწყე დამალეს“.
პეტრემ კვლავ შემოუთვალა:
„მალე ჩამოდი ჩემ კარძო,
ნუ გაქვს ყოვნება ხანისა,
ნუ გეწუხება სიბევრე
კაცის თან წამოტანისა“.

გადასწყვიტეს წასვლა. იესე არ გაჰყვა, თათრებს მიემხრო. ვახტანგი წავიდა რაჭას, თან გაიყოლია შვილები, ბატონიშვილები, მათი ცოლები, დიდძალი სამღვდელოება, თავადიშვილობა, რაჭაშიაც შემოუერთდენ ბევრი იმერლები, გადავიდნენ ჭარით ჩერქეზეთს.

„შეეტყოთ ჩერქეზთ ბატონებს.
მოვიდნენ კაის წყობითა.
მათ წაგვიყვანეს თვის სამყოფს,
აუჩქარებლად რებითა.
რა გარდვედით, მოეგება
დედოფალსა დედა თვისი,
თან იალხნენ რძალნი, ქალნი,
რაცა ჰყვანდა ყველა მისი.
მიგვიძღვნენ თვისსა ქალაქსა
სად ჰქონდათ სახლი გებული.
მრავლად მოართვეს აზულა,
ოტკა არაბის დებული“.

პეტრესაგან კვლავ შიკრიკი მოვიდა. დაიწვია. წავიდნენ აშტარხანს, მოსკოვს... სიტყვით, წიგნი სავსეა მრავალგვარ ცნობით და წარმოადგენს თვალსაჩინო ისტორიულ წყაროს. საჭიროა მისი დაუყოვნებლივ დაბეჭდვა, და კარგს იზამს თედოს მემკვიდრე პატივცემული გიორგი ჟორდანია, რომ დროით გამოაქვეყნოს ძვირფასი ტექსტი. იგი საკმაო მასალას მისცემს ყველას, ვინც დღეს სწავლობს—ეკატერინე—ერეკლეს შორის 1783 წელს დადებულ ხელშეკრულების ძალას.

მ. ჯანაშვილი

## ფინეთის სოციალ-დემოკრატთა რეზოლიუცია

ამას წინედ დეპეშამ ფინეთის პოლიტიკურ მდგომარეობის გამო სოციალ-დემოკრატთა საგანგებო ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციის მოკლე შინაარსი გადმოგვცა. ეხლა სრულ რეზოლიუციას ვბეჭდავთ.

„დიდი ხანია რაც ფინეთ-რუსეთის დამოკიდებულებას დაჩაგვრის ბეჭედი აზის.

უნდა ეს შეიცვალოს.

ფინეთი სახელმწიფო დამოკიდებულობისაგან უნდა განთავისუფლდეს.

რუსეთის რევოლიუციამ გაანთავისუფლა, როგორც ფინეთი, ისე რუსეთი მონობისა და ცარიზმისაგან. მაგრამ კაპიტალიზმის ტახტი დღემდის რუსეთშიც კი შეუმუსრავი დგას, რადგან ეკონომიურ განვითარებას ჯერ იქამდის არ მიუღწევია, რომ მას გაუმკლავდეს. კერძო საკუთრების და კაპიტალისტურ მეურნეობის ნიადაგზე რუსის ბურჟუაზიის მეფობას, თუმცა იგი ეხლა დროებით შერყეულია, კიდევ დიდხანს შეუძლიან იარსებოს. მას ფინეთზე ბატონობა მეტად გაუტკბა და ამ ბატონობაზე უარის თქმას აბა რაღად მოისურვებს.

ადრე თუ გვიან რუსეთის ბურჟუაზია, იმის და მიუხედავად თუ როგორი იქნება იგი. დემოკრატიულ პროგრესიული თუ რეაქციონური, თუ კი მას საშუალება მიეცა, კვლავ შეეცდება ფინეთის დაჩაგვრა დამონებას.

რუსეთის ბურჟუაზიამ ფინელებს, თავისუფლების მაგიერ ხელმწიფობისა და სუვერენიტეტის იდეია წამოაყენა.

რუსეთის სუვერენიტეტი კი ფინელთათვის უფლება მქონეთა ძალადობითი ბატონობა იქნება.

ფინელები ასეთ ჩაგვრას ვერ შეურიგდებიან. ფინელები თავიანთ მიერ შემუშავებულ კანონებს დასამტკიცებლად რუსის მთავრობას ვერ წარუდგენენ, რადგან, შესაძლოა რომ თვით სეიმის მიერ მიღებული კანონი პეტროგრადს უარჰყონ, როგორც იყო ხოლმე ფინელ, აქამდის რეაქციონულ ბურჟუაზიის სასიხარულოდ.

არც თუ ის შეიძლება, რომ რუსის მთავრობას ფინელთა სეიმის დათხოვნის უფლება მიენიჭოს. არც თუ მისი დაწყობა დახურვა უნდა ეკითხებოდეს მას.

უსამართლობა იქნებოდა, თუ რომ რუსის მთავრობა სეიმის უფლებათა გაღრმავებას წინ აღუდგებოდა ან და ფინეთის მმართველობის დემოკრატიზაციას ხელს შეუშლიდა.

როგორც საფინანსო, ისე საბაჟო საკითხების გადაწყვეტაში. ფინეთის სეიმს სრული უფლება უნდა ჰქონდეს, რადგან თუ მას კონტროლი რუსის მთავრობას მივანდეთ, შესაძლოა რომ მან კაპიტალიზმის გასაძლიერებლად იძულებითი გადასახადებსა და ფინელთა ექსპლოატაციას მიჰყოს ხელი, რაც ფინეთის დემოკრატიის განვითარებას მეტად და მეტად შეაფერხებს.

უსამართლობა იქნებოდა, რომ რუსის მთავრობას ფინეთის მთავრობის წევრთა დანიშვნაში და მათ თანამდებობის პირთა დამტკიცებაში რაიმე გავლენა ჰქონდეს, რადგან მაშინ ფინეთს სათავეში მხოლოდ მათი მონა-მორჩილები ჩაუდგებიან. რუსეთის მთავრობას ნება არ უნდა ჰქონდეს, რომ ფინეთში უმაღლეს მთავრობის სახელით იმოქმედოს.

ფინეთს სეიმი აქვს,—მას უნდა ჰყავდეს აგრეთვე თავის მმართველი მთავრობა, მხოლოდ ხალხზედ დამოკიდებული.

რაც შეეხება საკუთარ მუდმივ ჯარს—ფინეთს ეს სრულიად არ ესაჭიროება და აგრეთვე ისიც, თუ მას ფინეთში რუსის მთავრობა იყოლიებს, რადგან მმართველ წრეთა მტაცებლობითი ლტოლვილება ჯარის შემწეობით ადვილი განსახორციელებელი იქნება. მართალია, შეიძლება ზოგი ჯარის-კაცი, როგორც მოქალაქე, დიდი მეგობარიც გახდეს ხალხისა, მაგრამ მილიტარიზმი, როგორც ნორმალ პირობებში ბურჟუაზიის ბატონობის გამომხატველი, მეტად სახიფათოა ხალხის თავისუფლებისათვის.

ფინეთის სოციალ-დემოკრატია მოითხოვს ფინეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რადგან მხოლოდ თავისუფალ ფინეთში შეიძლება ფინელ მშრომელ კლასს დაუბრკოლებლივ აწარმოვოს კლასობრივი ბრძოლა და პროლეტარიატის ინტერნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელი შეუწყოს.

ფინეთი, როგორც თავისუფალ რუსეთის მახლობელი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა ეკონომიურის მხრივ თავის საკუთარ ალაგს დაიჭერს.

მაგრამ ფინელები მაშინაც კი არ შეეცდებიან, რუსეთის სამართლიან საჭიროების უარყოფას.

ფინეთის რუსეთთან და აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ეკონომიური დამოკიდებულება ნებაყოფლობითი პირობით უნდა იქმნეს განმტკიცებული და არა რუსის ბურჟუაზიის ბატონობის ძალდატანებით, რაც ფინეთსა და რუსეთს შორის აუცილებლად არა სასურველ კონფლიქტებს შექმნის. ეს კი ძალიან არა სურს და ფინეთის სოც.-დემოკრატია ამის ბოლოს მოსაღებად თავგამოდებით იბრძვის.

ფინეთის პროლეტარიატს გულში მოძმე რუსების მტრობა არ უძევს.

ფინელებს მხოლოდ ისინი სძულთ, ვინც მათ შორის ნაციონალურ სიძულვილსა სთესს.

ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებს მთელი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან ერთად უპირველესად რუსეთის მეგობრულ პარტიებს, რომ მათ ფინეთის დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირონ.

იქნებ მათმა თავგანწირულმა ცდამ ფინეთის მომავალი ბედი კვლავ რუსის ბურჟუას არ ჩაუგდოს ხელში საჯიჯგნად.

## ბოდბის მონასტრის ბედი

საზოგადოთ ქართველები მალე შავეჩვევით ხოლმე, უფლების აყრას და ქედს მოვიხრით უსამართლობის წინაშე.

სხვათა შორის ასე მოხდა, წმინდა ნინოს ეკლესიას, როცა რუსის სასულიერო მთავრობა დაეპატრონა და რუსის მონაზონები გამოგზავნეს, რომელთაც შეარყიეს ქართველი ხალხის რელიგიური გრძნობა. ჩვენი საყვარელი მოციქულთა სწორის ნინოს ეკლესიისა უცხო გახდა. („რადგან იქ ქართულის ნაცვლად „პაკი პაკის“ იძახიანო“)—ეს სთქვა დიდებულმა აკაკიმ, და ეს სიმართლესთან ზედ გამოჭრილი იყო—პირველ ხანად ხალხი დრტვინავდა ამ ძალმომრეობით, მაგრამ ჩუმ დუმილში იყო, რადგან საწინააღმდეგო არაფერი შეეძლო.

ხერხიანმა რუსის სასულიერო მთავრობამ, ხალხის მოსატყუებლად ამ ოცი წლის წინათ დაარსა ორ კლასიანი სასულიერო სკოლა ქალებისთვის; რომელთაც რა თქმა უნდა გულ შემატკივართ კი არ უნიშნავდნენ პატრონად, არამედ გამრუსებელი პოლიტიკის ტკბილ ზანგს ასმევდნენ. სწავლა-ცოდნას მოწყურებული ხალხი წოდების განურჩევლად ბლომად მიიტანა ამ სასწავლებელს, რადგან შვილის იქ სწავლება იაფად ჯდებოდა. მაგრამ პირველ ხნობით არც სწავლა იყო ხეირიანი და ცოდნის აღჭურვილების ნაცვლად, ცუდის ცხოვრებით დასნეულებული შვილები დაუბრუნდნენ ოჯახს.

როდესაც რუსეთში თავისუფლების ზარმა ჩამოჰკრა და მარტის 12 აქტით მცხეთაში საქართველოს თავისუფალი ეკლესიის უფლება აღადგინეს, მაშინ აქაურ ხალხის სიამეს საზღვარი არა ჰქონდა. ხალხს აიმედებდა, რომ ბოდბის წმინდა ნინოს ეკლესიაც გაიწმინდებოდა არა სასურველთაგან. იღუმენიის აქედან წასვლამ ხომ იმედი გაგვიორკეცა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. როგორც გაზეთებიდან ვიცით საქართველოს ეკლესიების მომწესრიგებელმა პროფესორ ბენეშევიჩმა და რუსის ეგზარხოსმა პოზიცია გაუმაგრეს იღუმენიას და აქვე გამოჰგზავნეს, თავის უფლებებით. იღუმენია განაგრძობს ბატონობას. ეს ადამიანი არც რუსის მონაზონებისათვის და არც ქართველებისთვის სასიამოვნო არ არის.

ჩვენ დღეს მოვალენი ვართ ქალიანკაციანათ აღვიმაღლოთ ხმა რუსის სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ გაანთავისუფლონ ჩვენი საყვარელი წმინდა ნინოს ეკლესია უსიამოვნო პირებისაგან.

გაზეთ საქართველოს № 120-ში სწერია ვ. ნ. ბენეშევიჩი დროებითი მთავრობის კომისარი, პეტროგრადს მიემგზავრება საქართველოს ეკლესიის საქმის გამო...

ჩვენი ეკლესიების ერთად ერთი მოკეთე უცხოებში ნ. დურნოვოა და იმისი რჩევა უნდა დავიჯეროთ. საერთო ძალით, მედგრათ მოვითხოვოთ აპეკუნობიდან გაანთავისუფლონ ჩვენი ეკლესია-მონასტრები. ჩვენც გვყვანან საუკეთესო მამა-მთავრები, საქართველოს კათალიკოს მოსაყდრე ლეონიდი და სხვა გულ შემატკივარნიც, რომელნიც ერთგულად მოუვლიან რუსის ეგზარხოსებისაგან აოხრებულ და გაძარცულ მონასტრებს.

ა. ნაცვლიშვილისა.

## კორესპონდენცია

### სოფლის ვითარება

**ს. მაღარო.** (ქიზიყი). როგორც ყველგან, ისე ს. მაღაროშიაც ძველი მთავრობის მამასახლისი გადააყენეს და მის ნაცვლად ციმბირიდან დაბრუნებული (საპოლიტიკო დამნაშავე) ნიკო ქადაგიშვილი აირჩიეს. იგი პირნათლად ასრულებს თავის თანამდებობას. იგი როგორც სოციალისტი (ფედერალისტი) თავის მიმართულებას ჰქადაგებს, მაგრამ აქაური ხალხი კერძო საკუთრების მომხრეა და ამიტომ მას ნაკლებ თანაუგრძნობს.

აქეთ, ე. ი. ქიზიყში, თავად-აზნაური მესაკუთრე, ძალიან მცირეა და ვინც არის, იმას ცოტაოდენი სახნავ-რი აქვს და ამ მცირე მამულზე საქონლის მოშენებას მისდევენ.

ქიზიყელები თავისუფალი ხალხია და სახნავ-სათესიც ბლომად აქვთ; აქ ბატონ-ყმობის უღელი სულ მცირე ხალხს ედგა და ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ეს ხალხი სახაზინო მიწებზედ გადასახლდა, ეს ხალხი არავითარ ხარჯს და ნათხალს ნაბატონარს არ აძლევდა, რის გამოც ქიზიყელი გლეხი უფრო ხშირად არის შეძლებული ვიდრე ქართლ-კახეთისა, არიან ისეთი შეძლებული გლეხები, რომ შუათანა შეძლების პატრონს კეთილშობილს გადააჭარბებს.

აქაური ხალხი არაფერ უწესოებას ახდენს, რადგან მიწა თავისუფალი აქვს და ვისაც რამდენი შეუძლიან იმდენს ხმარობს ხოლო ხაზინას იმდენს ხარჯს აძლევს, რამდენსაც სოფელი შეაწერს.

რუსეთის რევოლუციის წყალობით აქ წინანდელზედ ნაკლებია ქურდობა, ავაზაკობა, მაგრამ ზოგიერთი უბედური თვისების ადამიანი დღესაც არ იშლის თავის საქციელს. ამ მოკლე ხანში ერთი ახალგაზრდა კაცს ხალხის სამსჯავრომ ქურდობისა და ქონების გატაცებისთვის სიკვდილით დასაჯა ხალხის თქმით იგი მრავალჯერ ყოფილა შენიშნული ამგვარ ავაზაკობაში.

აქ დიდი სიძვირეა ყოველი სანოვაგისა. მუშა ხელი ხომ ულრესად არის გაძვირებული. მართალია ომმა დიდათ შეამცირა ახალგაზრდა საიმედო მუშა ხელი, ამ მუშის სიმცირეს იქნება გამოასწორებდნენ და როგორც იქნებოდა მოსავალს მოუვლიდნენ, მაგრამ აქ ხელი შეუშალა მეთამბაქოების გამრავლებამ. თამბაქოს მოყვანას წინედაც მისდევდნენ ლაგოდეხ-ქიაურში, მაგრამ დღეს ქიზიყის არც ერთი სოფელი აღარ დარჩა, რომ თამბაქოს მოყვანისათვის არ მოეკიდნა ხელი, ზოგთ ვენახები გადასჭრეს და თამბაქოს დაუწყეს თესვა. თამბაქოს მეტი ხელი სჭირდება და რაკი მუშის სიმცირეა მეთამბაქოენი საარაკო ფასებს აძლევენ და ხალხს იქით იზიდებენ. დღიური მუშის ფასი 8—9 მანეთია და თვიურად ოცდახუთ თუმანს აღწევს. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ფასნბში მუდამ მუშა იქ წასვლას ირჩევს და სოფელი კი ცარიელი რჩება. ნეტა შეიძლებოდეს თამბაქოს მოყვანის შემცირება, უკეთესი იქნებოდა.

ეჰ კარგა ხანია ჩვენში კარგი მოსავალი აღარ მოსულა და ამ წელს ხომ უწვიმრობისგან ნახნავ-ნათესს კარგი პირი არ უჩანდა, მაგრამ აპრილში ორიოდე ჯერ რიგიანი ავდარი მოხდა და ხალხს გაზაფხულის ნათესის იმედი მიეცა, მაგრამ მაისის სამს დიდი სეტყვა მოვიდა, რომელმაც ბოდბე-მაღაროს და ნუკრიანის საძოვრები და ყანები სულ მთლად გაანადგურა ისე, რომ საძოვარი ბალახიც კი აღარ დარჩა და თუ ვისმე ბაღ-ვენახი ჰქონდა, სულ მშრალზე დასვა. შემდეგ სეტყვისა ხშირი წვიმები დაიწყო და მინდორი ისევ შეიმოსა მწვანით, გაზაფხულის ყანებმა ისევ ამოხეთქა, მაგრამ შემოდგომისა კი მთლად წახდა ისე, რომ წრეულს ხალხს არც სათიბები აქვსთ რიგიანი და პურ ს მოსავალსაც ძრიელ მცირეს მოელის. დღესაც ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის უპუროთ და მომავალში რაღა იქნება!

ამისთანა მცირე მოსავლის დროს მუშაც დღეში 8—9 მანეთს მოითხოვს; მაშინ რა ფასი უნდა დაედვას კოდ პურს! ამას აქაური ხალხი ვერ გაუძლებს.

მაღაროელი.

## დუშეთის მაზრის მესამე ოლქის სამღვდელოების ყრილობა.

ამა წლის მაისის 23-ს მოხდა ყრილობა მესამე საკეთილმოწყობო ოლქის სამღვდელოებისა და მედავითნეებისა ქ. დუშეთში, მღვდლის იოანე ლუკაშვილის თავმჯდომარეობით. მიზანი კრებისა იყო არჩევა საოლქო საბჭოსი, თანახმად საეკლესიო მთავრობის მოწერილობისა. საბჭოს წევრებად ამორჩეულ-იქმნენ ფარულის კენჭის ყრით: მღ. ი. ლუკაშვილი, მღ. ეფ. კაველაშვილი და მღ. გ. ჰელიძე; მედავითნეები: გ. ჰინჭარაძე, დავით მაისურაძე და ი. შუშიაშვილი. თავმჯდომარედ საბჭოსი ერთხმად ამოირჩიეს მღ. იოანე ლუკაშვილი.

შემდეგ კრებამ, აზრთა გაცვლა-გამოცვლით, გაითვალისწინა-რა თანამედროვე მომენტი, სიხარული გამოსთქვა მრავალ-ტანჯულ, დამცირებულ შეურაცყოფილ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისა გამო, როგორც თვითმპყრობელობის ტირანიისაგან, ეგრეთვე რუსეთის სინოდის დამონავებისაგან, რომელსაც, როგორც ეკლესიურ დაწესებულებას მომეტებულად არ ეკადრება დაჩაგვრა-დამონავება თავისი უფროსი დის-საქართველოს ავტოკეფალიურის ეკლესიისა. კრებამ დაადგინა მიესალმოს საქართველოს განთავისუფლებული ეკლესიის მეთაურს—ყოვლად-უსამღვდელოეს ეპისკოპოზს ლეონიდეს, და ლოცვით უსურვოს მას ძალა და სიმხნე დაწყებული საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის. გამოუცხადოს პროტესტი პროფესორ ბენეშევიჩს, რომელიც ნაცვლად საქმის მოწესრიგებისა, ხელს უშლის ავტოკეფალიის სრულს განხორციელებას.

მედავითნეებმა მოითხოვეს შემოსავლიდან მესამედის მიღება. სამღვდელოებამ დაადგინა ამ საკითხის საბოლოოდ გარჩევა გადაიდოს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა კრებისთვის.

ვანიდი.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია [illegible])

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან გადის: | | | | |
| ბათუმისაკენ | საჩქ. | № 8, | 11.08 | ღამ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისაკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საჩ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.12 | საღ. |
| ტფილისში მოდის: | | | | |
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საჩ. | № 4, | 8.58 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საჩ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 6, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საჩ. | № 8***, | 8.10 | დილ. |

# განცხადება

## ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ **მუშათა საკითხის გამო** ამა წლის თიბათვის 15-დან ბარგის მიღება და მიცემა, დოკუმენტების აღება და შემოწმება და ბარგის გამოწერა ქვემორე ნათქვამ დროს მოხდება.

1) სადგურზე ბარგი მიტანით უნდა იქმნეს ზაფხულში (აპრილის 1-დან ღვინობისთვის 1-დინ) დილის 6 საათიდან დღის პირველ საათამდის, ზამთრობით კი (ღვინობისთვის 1-დან) დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდის.

2) ბარგის მიღება რკინის გზის მიერ ზაფხულში მოხდება დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდის. ზამთარში კი დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდის.

3) ვაგონების დაცლა მოხდება დილის 6 საათიდან დღის 2 საათამდის, ზაფხულობით. ზამთრობით კი დილის 8 საათიდან 4 საათამდის. ამ ხანში 10—11 საათამდის მუშაობა შეწყვეტილი იქნება. უქმ დღეებში კი 6—11 საათამდის.

4) ბარგის წაღება სადგურიდან მოხდება ზაფხულობით დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდის, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდის.

5) მოწმობების და ქაღალდების აღება და შემოწმება გასაგზავნ ბარგისა მოხდება დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდის ზაფხულობით, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდის.

6 ბარგის ამოწერა კასებში მოხდება ზაფხულობით დილის 7 საათიდან დღის 2 ნახ. საათამდის, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 3 ნახ. საათამდის.

7) სამხედრო ბარგის ოპერაციები საომარ მოქმედებით გამოწვეულ ისევ ძალაშია (მორიგეობა).

8) უბრალო ბარგის (Навалочный) ისევ ისე იქმნება, როგორც იყო (მორიგეობა).

9) ბარგს რკინის გზა არ მიიღებს და პატრონს არ ჩააბარებს შემდეგ დღეებში იანვრის 1 და 6-ში, მარტის 25-ში, აღდგომისა და შობის პირველსა და მეორე დღეებში და იმ საერთო სახალხო დღესასწაულებში, რაც შეიძლება შემდეგში დაწესდეს. ომის გათავების მერმე კი კვირადღეობითაც.

10) ქვემორე მოხსენებულ დღეებში კი ბარგის საქმე რკინის გზის სადგურზე დილის 8—12 საათამდის იწარმოებს. ასეთი დღეებია: კვირა დღე—ომის დროს, ვნების კვირის ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს, თებერვლის 2-ს, მარიამობისთვის 6 და 15-ს, ენკენისთვის 8 და 14-ს, ღვინობისთვის 1 და 22-ს, გიორგობისთვის 21 და ქრისტეშობისთვის 24-ს. ამ დღეებში ბარგის მოტანა დილის 11 საათზე გათავდება.

3—739—1

## 1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—42)

## საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

**ბელანჟე**—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
**გეინაცი**—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
**ახპიხოვი**—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
**ფირადოვი**—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
**მონხე**—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
**ჩუდნოვსკი**—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
**ბეგზადოვი**—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
**იოსელიანი**—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
**ნარიმანოვი**—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
**დეკანოზოვი**—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
**ტრიფიცკაია**—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
**ბაგდოევისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
**ალიხანოვისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—25

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საცქერი სახლ. „ძ. ძეგველოვ-[illegible]“, [illegible] ახალი ქვირითის ხიზილალა, წვრილ მარილიანი, შავი „[illegible]“ ხიზილალა. [illegible] ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი [illegible] ზუთხი, თართი, [illegible] და ლოქო, გვაქვს აგრეთვე [illegible] კონსერვები და [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა [illegible]. (წ.)

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

სტამბა „ცხოვრება“ ძმებ კალანდაძეებისა, გამზირის შესახვევი № 4.

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“.